ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლელა ნონიკაშვილი

# ოჯახური ძალადობის სტატისტიკა საქართველოში

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო აბესაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

# ანოტაცია

ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული გლობალური პრობლემაა. ოჯახური ძალადობის პრობლემა ეხება ყველას განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, აღმსარებლობისა, სოციალური თუ ეკონომიკური კლასის კუთვნილებისა. სწორედ ამიტომ არ კარგავს პრობლემა აქტუალობას. ცივილიზებული სამყარო, საერთაშორისო ორგანიზაციები, ქვეყნების ხელისუფლებები ძალადობის წინააღმდეგ კონვენციების, საკანონმდებლო აქტების, სპეციალური პოლიტიკის შემუშავებით ცდილობენ პრობლემის აღმოფხვრას. თუმცა, ოჯახურ ძალადობასთან გამკლავება, ბევრი ფაქტორის გამო, საკმაოდ რთულია.

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური კანონმდებლობისა თუ პოლიტიკის შესამუშავებლად აუცილებელია პრობლემის სრულყოფილად დანახვა, რაც წარმოუდგენელია სტატისტიკური ანალიზის გარეშე. უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აწარმოებს ოჯახური ძალადობის სტატისტიკურ კვლევასა და ანალიზს.

მოცემული კვლევის მიზანია საქართველოში ოჯახური ძალადობის სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა. ნაშრომში განხილულია ოჯახური ძალადობის კვლევის სტატისტიკური მეთოდოლოგია, გაანალიზებულია საქართველოში ოჯახური ძალადობის რაოდენობრივი მახასიათებლები დინამიკაში, ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენისა და კვლევების შედეგად მიღებული მასალების საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. დახასიათებულია სხვადახვა ქვეყნის ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მახასიათებლები და გაკეთებულია შედარებითი ანალიზი.

# Annotation

Domestic violence is one of the most painful global problems. This problem affects everyone regardless of nationality, race, faith, social or economic class. For this reason, the problem does not lose relevance. The civilised world, international organizations, state governments try to eliminate the problem by developing anti-violence conventions, legislations, special policies. However, dealing with domestic violence is quite difficult due to a number of factors.

In order to adopt effective legislation or policy against domestic violence, it is necessary to see the problem thoroughly, which is impossible without statistical analysis. During the recent years almost all the countries of the world have conducted statistical studies and analyses on domestic violence.

The goal of this study is to provide statistical analysis of domestic violence in Georgia and to identify the main patterns. The study discusses the statistical methodology of researching domestic violence, analyses quantitative characteristics of domestic violence in Georgia in dynamics, and reaches relevant conclusions based on the materials obtained as a result of studies and identification of patterns. The study also gives statistical characteristics of domestic violence in different countries and provides their comparative analysis.

# შინაარსი


შესავალი .....5

თავი I. ოჯახური ძალადობის სტატისტიკური შესწავლის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა .....9

1.1 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური შესწავლის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე .....9

1.2. ოჯახური ძალადობის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში.....25

1.3 ოჯახური ძალადობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა .....31

თავი II. ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგია.....39

2.1 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის საერთაშორისო პრაქტიკა.....39

2.2 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია.....43

თავი III. ოჯახური ძალადობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში .....51

3.1 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევა საქართველოში .....51

3.2 ოჯახური ძალადობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი.....65

დასკვნა .....76

გამოყენებული ლიტერატურა.....80

# შესავალი

უკანასკნელი წლების განმავლობაში ძალადობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა მთელს მსოფლიოში. ძალადობის პრობლემა გლობალური მასშტაბისაა და მას არ აქვს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური კუთვნილება. მთელი სამყარო შეთანხმებულია, რომ ნებისმიერ სახის ძალადობა მიუღებელია და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველას ვალია: ინდივიდის, ინსტიტუციების თუ სახელმწიფოსი.

ძალადობა კაცობრიობის არსებობის მუდმივი თანმხლები პროცესია. ძალადობის გამოვლინების უამრავ ფორმას ვაკვირდებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად. ყოველწლიურად კი უამრავი ადამიანი იღუპება ან მძიმე დაზიანებებს იღებს ძალადობის შედეგად.

ძალადობის რამდენიმე სახე არსებობს და თითოეული მათგანი ყურადსაღები და მნიშვნელოვანი პრობლემაა. თუმცა, ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს ოჯახური ძალადობა. მთელს მსოფლიოში უმარავი გოგონა და ქალი, ასევე, არასრულწლოვანი და ხანდაზმული ადამიანი არის ძალადობის მსხვერპლი.

ოჯახური ძალადობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა მთელს მსოფლიოში. გაერთიანებული ერების ფონდის (United Nations Foundation) მონაცემებით, ყოველი სამი გოგონადან ერთი ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია. ძალადობას მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები და ზეგავლენა აქვს მათ ცხოვრებაზე. ძალადობა აისახება გოგონებისა და ქალების ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობასა თუ თანხის გამომუშავების უნარზე, ღირსებასა და შესაძლებლობებზე. ასევე, იმ არასრულწლოვნებზე, რომლებიც იზრდებიან მოძალადეების გვერდით. ასეთი ბავშვები ყოველთვის ჩაკეტილები, უხალისოები არიან, ნაკლებად ერთვებიან თანატოლებთან ერთად სასწავლო თუ გასართობ აქტივობებში.

ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლაში და მის პრევენციაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად უამრავი ადამიანია ჩართული, საკმაოდ დიდი ფინანსური თუ ფიზიკური რესურსი იხარჯება. თუმცა, ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა მაინც დიდია.

აღნიშნული საკითხი მწვავე და მასშტაბური პრობლემაა საქართველოშიც. ოჯახური დისკრიმინაციის წინააღმდეგ უამრავი კონვენციის რატიფიცირების, კანონმდებლობის შემუშავების მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ქალები, ბავშვები და ასაკოვანი ადამიანები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებად რჩებიან.

ოჯახური ძალადობის ფორმების, მიზეზების თუ შედეგების შესწავლა მნიშვნელოვანია, რათა ამ მიმართულებით  მოხდეს სწორი პოლიტიკის განსაზღვრა სახელმწიფო დონეზე და მაქსიმალურად მეტი ძალადობის ფაქტი აღიკვეთოს, მაქსიმალურად მეტი მსხვერპლის დახმარება და რეაბილიტაცია იყოს შესაძლებელი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ოჯახური ძალადობის საკითხი მეტად აქტუალურია. შექმნილია სახელმწიფო სტრუქტურები თუ არასამთავრობო ორგანიზციები ოჯახური ძალადობის პრევენციისა თუ მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის. აღნიშნული ორგანიზაციები ცდილობენ ამ მიმართულებით ადამიანების ინფორმირებას, ცოდნის ამაღლებას, ძალადობის შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიმართვის აუცილებლობის პოპულარიზაციას.

ქვეყანაში მუშაობს ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, სადაც ცდილობენ ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური დახმარების აღმოჩენას ძალადობის მსხვერპლთათვის. თუმცა, მსხვერპლთა უდიდესი ნაწილი არც მსგავს დაწესებულებებს და არც სამართალდამცავებს მიმართავს ძალადობის შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზის გამო. ძირითადი მიზეზი, ალბათ, მაინც შიში და არასაკმარისი ინფორმირებულობაა.

საქართველოში ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებლები მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, იხვეწება კანონმდებლობა, ხდება საკითხის კვლევა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკის შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად, ძალადობა ოჯახში მაინც ერთ-ერთ მძიმე და მტკივნეულ პრობლემად რჩება.

ჩვენი კვლევის მიზანს  წარმოადგენს საქართველოში ოჯახური ძალადობის სტატისტიკური ანალიზი და  ძირითადი ტენდენციების გამოვლენა. სტატისტიკური მონაცემები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად უმნიშვნელოვანესი რესურსია. სტატისტიკურ მონაცემთა ნაკლებობა ხელისშემშლელი

ფაქტორია სხვადასხვა პრობლემის გაანალიზების, გამოსავლის ძიებისა და აღმოფხვრისთვის.

კვლევა მნიშვნელოვანია, რამდენადაც ოჯახური ძალადობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა სიმწირე წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული მონაცემების მოპოვება და სათანადო დამუშავება.

ოჯახური ძალადობის სტატსტიკური მონაცემების მოგროვება და დამუშავება საშუალებას მოგცემს უფრო ფართოდ დავინახოთ პრობლემის არსი, მასშტაბი, ვიმსჯელოთ გამოწვევ მიზეზებსა და შედეგებზე.

კვლევის მიზნის მისაღწევად, დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ოჯახური ძალადობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება;
- ოჯახური ძალადობის სტატისტიკის წარმოების, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული პრაქტიკის მიმოხილვა;
- ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გაანალიზება;
- საქართველოში ოჯახური ძალადობის სტატისტიკური ანალიზი;
- ოჯახური ძალადობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი ქვეყნების მიხედვით.

საკვლევი საკითხი მეტად აქტუალურია და როგორც საქართველოს, ასევე, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების დღის წესრიგშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. თუმცა, საქართველოში ოჯახური ძალადობა დღემდე ტაბუირებული თემაა და იშვიათად თუ გამჟღავნდება ხოლმე. სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაც გართულებულია. შესაბამისად, მონაცემები ცოტაა. მონაცემების სიმწირე კი პრობლემის მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის შედეგები, როგორც წესი აისახება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაზე, რაც თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას ახდენს ძალადობის მსხვერპლთა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებაზე და ა.შ.

ძალადობის შესახებ ჩატარებული სტატისტიკური კვლევები ხელს უწყობს გენდერული, არასრულწლოვანთა თუ ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის დაძლევის მექნიზმების შემუშავებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსების შენარჩუნებისთვის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მეტად სერიოზულია, როგორც თანამედროვე მსოფლიოსთვის, ასევე საქართველოსთვის.

# თავი I. ოჯახური ძალადობის სტატისტიკური შესწავლის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

## 1.1 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური შესწავლის აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე

ოჯახური ძალადობა თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და გლობალური პრობლემაა. ყოველდღიურად ჩვენ გვერდით ადამიანები იტანჯებიან ოჯახის წევრების მხრიდან ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან. ეს პრობლემა სერიოზულ ადამიანურ თუ ეკონომიკურ დანაკარგებს უკავშირდება.

სამოქალაქო ენციკლოპედიის მიხედვით, ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხჰყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია. რა თქმა უნდა, ძალადობა შეიძლება განხორციელდეს არა მარტო ადამიანის მიმართ. ძალადობის მსხვერპლი ხშირად დაუცველი ცხოველიც ხდება. სასტიკი მოპყრობა განსაკუთრებით საზარელია მაშინ, როდესაც მას სუსტი და დაუცველი არსებების მიმართ სჩადიან. როგორც წესი, სწორედ ასეც ხდება. ძალადობას შეიძლება ახორციელებდეს ერთი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან მთელი საზოგადოება. მათი ძალადობრივი ქცევა შეიძლება ეხებოდეს მეორე ადამიანს ან სხვა ჯგუფს. ადამიანის უფლებების თვალსაზრისით ყოველგვარი ძალადობა დაუშვებელია. მას კრძალავს და სჯის კანონი.[1]

არსებობს ძალადობის რამდენიმე სახეობა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური, იძულება და უგულებელყოფა. თითოეული მათგანი მოძალადის მიერ მსხვერპლზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

საქართველოში მოქმედი კანონმდელობით ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ თითოეული ზემოთ აღნიშნული ძალადობის ფორმა განმარტებულია:

[1] Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2353

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივის და ღირსების შელახვას;

სექსუალური ძალადობა - სექსუალური კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრების და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

იძულება - ადამინის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება–სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;[2]

ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცველებული ფორმაა ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახის წევრის, მეუღლის, სექსუალური პარტნიორის და ა.შ. მხრიდან. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) განმარტებით, ქალთა მიმართ ძალადობა საფრთხეს უქმნის  მსხვერპლთა ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და დამოუკიდებლობას, და ლახავს მათ ღირსებას. მიუხედავად ამისა, ის კვლავ დუმილის კულტურითაა გარემოცული. ძალადობის მსხვერპლებს შეიძლება მოუხდეთ მრავალი უარყოფითი შედეგის გადატანა. ესაა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, იძულებითი და არასასურველი ფეხმძიმობა, სახიფათო (არაუსაფრთხო) აბორტები, ტრავმის შედეგად განვითარებული

[2] „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665073?publication=0

ფისტულა, სექსუალური გზით გავრცელებადი ინფექციები, მათ შორის შიდსი, და გარდაცვალებაც კი.[3]

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1993 წელს მიღებულ „დეკლარაციაში ქალთა ძალადობის წინააღმდეგ" (DEVAW) განმარტებულია: „ისტორიულად, ძალადობა ქალის მიმართ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული არათანაბარი ურთიერთობების მანიფესტაციაა. ამგვარი ურთიერთობის შედეგია კაცის მხრიდან ქალზე დომინირება და მისი დისკრიმინაცია".[4]

იმავე დეკლარაციით ოჯახში ძალადობაზე ნაქვამია: „ოჯახში ძალადობა'' გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.''[5]

2015 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, ე.წ. სტამბოლის კონვენცია. ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლების დარღვევას და დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი მიზნად ისახავს ასეთი ძალადობისათვის ნულოვანი ტოლერანტობის არსებობას, რისთვისაც ახდენს ქმედებათა მთელი წყების კრიმინალიზაციას: ფიზიკური ძალადობა, სქესობრივი ძალადობა, იძულებითი ქორწინება, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი აბორტი და შევიწროება.[6]

საქართველოს მიერ რატიფიცირებული გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, სახელმწიფომ არასრულწლოვანი უნდა დაიცვას მშობლის, მეურვის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ძალადობისგან.[7]ამავე კონვენციით, სახელმწიფომ ბავშვი უნდა დაიცვას სექსუალური ძალადობისგან. [8]

---

[3] A brief overview of the United Nations and violence against women, https://www.un.org/womenwatch/daw/vaw/v-overview.htm

[4] დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

[5] დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

[6] ანა ბრასეური, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, http://assembly.coe.int/Communication/Campaign/DomesticViolence/HandbookParliamentarians_GE.pdf

[7] გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 19, http://cdi.org.ge/uploads/pages/uflebata-konvencia-54.pdf

[8] გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 32 http://cdi.org.ge/uploads/pages/uflebata-konvencia-54.pdf

საქართველოში ისტორიულად და კულტურული ტრადიციის თანახმად, „ოჯახის ინსტიტუტი'', „ქალის პატივისცემა'', „ბავშვის სწორად აღზრდა'', „ხანდაზმულთა პატივისცემა'' მუდამ მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, ღირსების საკითხები იყო. ამავე დროს გვხვდებოდა და დღემდე შემორჩენილია მიდგომა „ეს ოჯახის საქმეა''. მათ შორის, ოჯახური ძალადობის მიმართაც ხშირია მსგავსი დამოკიდებულება. თუკი მშობელი შვილზე აღზრიდის პროცესში ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ძალადობს, არსებობს მიდგომა, რომ ის მშობელია და ამის სრული უფლება აქვს. შესაბასმისად, ნათელია, რომ იდეალიზებულ და რეალურ ოჯახს შორის დიდი სხვაობაა და ოჯახური ძალადობა საქართველოში მწვავე პრობლემაა. ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების თანახმად, „ის რაც ხდება ერთ ოჯახში, მხოლოდ იმ ოჯახის საქმეა''. ამდენად, საზოგადოების მცირე ნაწილი თუ მიიჩნევს მიზანშეწონილად ოჯახურ ძალადობაში ჩარევას ან აღნიშნული ფაქტის შესახებ შესაბამისი უწყებების ინფორმირებას. არადა, ოჯახურმა ძალადობამ ადამიანი არა მხოლოდ ფსიქიკურ აშლილობამდე, არამედ სუიციდამეც შეიძლება მიიყვანოს. გახშირებული ფემიციდის ფაქტები კი ნათელს ხდის „სხვის ოჯახში არჩარევის'' პოლიტიკის დამღუპველობას. საქართველოს პროკურატურის მონაცემებით, 2018 წელს ქალთა მკვლელობის 22 ფაქტი გამოვლინდა, მათგან ოჯახური დანაშაულის ნიშნით 7 ფაქტი. ხოლო ქალთა მკვლელობის მცდელობის 18 ფაქტი, საიდანაც 11 ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩაიდინეს. [9]

ძალადობა განსაკუთრებით ისეთ საზოგადოებებშია გავრცელებული, სადაც ერთი სქესია დომინანტად აღიარებული, ხოლო აღზრდის ყველაზე ეფექტურ მეთოდად დასჯას, მათ შორის, ფიზიკურ დასჯას მიიჩნევენ. არის ოჯახები, სადაც ძალადობა ჩვეულებრივ, ნორმალურ, ყოველდღიურ ქცევად არის დანერგილი. ძლიერი ანუ მამაკაცი ძალადობს ცოლზე, შვილზე, დედაზე, მოხუცზე. შვილის აღზრდა ხდება

[9]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი.http://www.ombudsman.ge/res/docs/2019033019563052300.pdf?fbclid=IwAR3kjy8xOdhAC4GE5ONj09CaxLfXbLP1zBcUDJdRiiBxUIFJ29WeUaq77Qg

მეთოდით: „შვილი მტრად გაზარდე, რომ მოყვარედ გამოგადგეს“. ამრიგად, ადამიანები ცხოვრობენ მუდმივი შიშის, დამცირების, პატივისა და ღირსების შემლახველ გარემოში. ასეთ გარემოში აღზრდილი ადამიანები კი ხშირ შემთხვევაში თავად არიან მოძალადეები.

2014 წელს ჩატარებული კვლევა „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში“ [10]გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა 64% აზრით, ოჯახური ძალადობა ისეთი საკითხია, რომელშიც გარეშე პირი არ უნდა ჩაერიოს და ოჯახმა თავად უნდა მოაგვაროს.

ზემოთ აღნიშნული კონვენციები, რომელთა რატიფიცირებაც საქართველომ ეტაპობრივად მოახდინა, არის შედეგი ქალთა მიმართ ძალადობის კვლევისა. მსოფლიოს მასშტაბით ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა საგანგაშო სურათი აჩვენა, შესაბამისად, საჭირო გახდა აღნიშნული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე გამოკითხვით, 30% მიაჩნია, რომ სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი ოჯახური ძალადობის საკითხებში ჩაერიოს. [11]

ოჯახი ყველაზე თავისუფალი ადგილია ძალადობისთვის, ის ერთგვარი დაშვების სივრცეა. ადგილია, სადაც პოლიტიკური ელემენტი ვერ აღწევს. ამიტომ ყველა ცდილობს სწორედ ეს სახელი ,,ოჯახი'' დაირქვას. ეზოში თავიდანვე გეუბნებიან, რომ „უბანი იგივე ოჯახია'', პირელივე კლასიდან გასწავლიან, „სკოლა დიდი ოჯახია'', მრევლიც ოჯახია, ხანდახან უნივერსიტეტიც ოჯახს ჩამოგავს, ახალ სამსახურში კონტრაქტის გაფორმებასთან ერთად, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ყურში ჩაგჩურჩულებს: „კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენს ოჯახში''. შეიძლება სახელმწიფოც კი შევადაროთ ოჯახს. ამგვარად მყუდრო სივრცე, ადგილი, სადაც ტრუსებით შეგიძლია გაიარო, სინამდვილეში ძალადობის უკიდეგანო შესაძლებლობების სივრცედ იქცევა. ტერიტორიად, რომელიც ძალადობას მალავს.

[10] ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20GEO_Final_0.pdf

[11] ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20GEO_Final_0.pdf

ამიტომ, არ დაიჯეროთ, როდესაც სიხარულით გაგიღებენ კარს და სიყვარულით სავსე თვალებით შეგიძღვებიან თბილ საძინებელში.[12]

საზოგადოების მიერ ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის მიღება ფართოდაა გავრცელებული განვითარებად ქვეყნებში, სადაც 36 პროცენტს სჯერა, რომ გარკვეულ სიტუაციებში ძალადობა გამართლებულია.

2005 -2017 წლებში ჩატარებული დემოგრაფიული და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული კვლევების გამოყენებით, მკვლევარებმა ბრისტოლის უნივერსიტეტში მოახდინეს 49 დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში მცხოვრები 1.17 მილიონი კაცისა და ქალისგან მიღებული მონაცემის ანალიზი. მათი აღმოჩენები ხელს შეუწყობს ოჯახური ძალადობის აღკვეთის ეროვნული თუ საერთაშორისო სტრატეგიების შემუშავებას[13].

კვლევების მიზანი იყო დაედგინათ,თვლიდნენ თუ არა ადამიანები, რომ მამაკაცის მიერ ცოლის ან პარტნიორის ცემა გამართლებული იყო ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქალი მიდის სადმე, ისე რომ მას არ ატყობინებს ამის შესახებ, ეკამათება მას, უგულვებელყოფს ბავშვებს, წვავს სადილს, უარს ამბობს სექსზე, ან როდესაც მამაკაცი ეჭვობს რომ მას ღალატობენ.

საშუალოდ, გამოკითხულთა 36 პროცენტის თქმით, მამაკაცის მიერ ქალის ცემა გამართლებულია ერთ-ერთი ასეთი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში. მონაცემები განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით. საშუალოდ, საზოგადოების მიერ ძალადობის მიღების მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო სამხრეთ აზიაში,სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი (47%) ამართლებდა ძალადობას და სუბსაჰარულ აფრიკაში (38%), თუ შევადარებთ მაჩვენებლებს ლათინურ ამერიკაში და კარიბის ზღვის რეგიონში (12%) და ევროპაში და ცენტრალურ აზიაში (29%). [14]

---

[12] „ოჯახური" ძალადობა, ვახუშტი მენაბდე, http://liberali.ge/blogs/view/6060/ojakhuri-dzaladoba

[13] Domestic violence is widely accepted in most developing countries, new study reveals https://www.sciencedaily.com/releases/2018/10/181031141437.htm

[14] Domestic violence is widely accepted in most developing countries, new study reveals https://www.sciencedaily.com/releases/2018/10/181031141437.htm

დიაგრამა 1

ოჯახური ძალადობის გამართლება ერთ-ერთი სიტუაციის მიხედვით, სქესის მიხედვით




წყარო:[https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371%2Fjournal.pone.0206101&fbclid=IwAR3PKB6T1g1NhVysiJlG_jLWOeTPlhTdNNkdUjSzNqQCxR6U-qhcE9SAV-g#pone-0206101-g001](https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371%2Fjournal.pone.0206101&fbclid=IwAR3PKB6T1g1NhVysiJlG_jLWOeTPlhTdNNkdUjSzNqQCxR6U-qhcE9SAV-g#pone-0206101-g001)

49 -დან 36 ქვეყანაში, ძირითადად სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასა და სუბსაჰარულ აფრიკაში, ქალები უფრო მეტად ამართლებდნენ ძალადობრივ ქცევას ვიდრე მამაკაცები.

ფაქტორები ქვეყნების შიგნით, განსაკუთრებით კი პოლიტიკური გარემო, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოჯახური ძალადობის მიღებაში. მაგალითად, ასეთი

ქცევის გამართლება მეტად შეინიშნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებმაც ხშირი და სასტიკი პოლიტიკური კონფლიქტები გადაიტანა ბოლო 5 წლის განმავლობაში[15].

უფრო მეტიც, კაცებში ოჯახური ძალადობის მიღების მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო იმ ქვეყნებში, სადაც უფრო დემოკრატიული პოლიტიკური წყობაა.

კვლევის მონაწილეები იმ ქვეყნებიდან, სადაც ქალებს მეტი ეკონომიკური უფლებები აქვთ, ნაკლებად ამართლებდნენ ოჯახურ ძალადობას. ეს შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ქალების ეკონომიკური უფლებების გაზრდა ქალებისა და მამაკაცების გენდერული როლების შესახებ დამკვიდრებული  სოციალური ნორმების დარღვევას შეუწყობს ხელს.

კვლევის ხელმძღვანელის, ლინ მარი სარდინიას განცხადებით, „ძლიერ პატრიარქალურ საზოგადოებებში ოჯახური ძალადობის ქალების მიერ გამართლება იმაზე მიანიშნებს, რომ ქალებმა გაითავისეს ის იდეა, რომ ქმარი რომელიც ფიზიკურად სჯის ცოლს, ან სიტყვიერ საყვედურს ეუბნება მას, მხოლოდ და მხოლოდ იყენებს უფლებას, რომელიც ქალისსავე ინტერესებს ემსახურება. ასეთ ქმედებას ქალები აღიქვამენ როგორც კანონიერ დისციპლინურ ზომას, და არა როგორც ძალადობას“

მისივე თქმით, „საჭიროა ბევრად მეტი ყურადღება დაეთმოს ოჯახური ძალადობის მიღების პრობლემის მოგვარებას პოლიტიკურ კონფლიქტ გადატანილ საზოგადოებებში მიზანმიმართული ინიციატივების გზით.''

ამ პროექტის შედეგად შეიქმნა ამ ტიპის  პირველი მეტა მონაცემთა ბაზა ოჯახური ძალადობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ, ასევე მასშტაბური მაღალი ხარისხის სოციო-ეკონომიკური, პოლიტიკური და საკანონმდებლო მეტა მონაცემები  გაეროს წყაროებზე და სხვა ამ თემასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით.

რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის გაერომ და მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციამ უკვე გამოხატეს თავიანთი დაინტერესება გამოიყენოს ეს მონაცემები ძალადობის აღმოფხვრის მიზნების მისაღწევად.

გენდერული პრობლემების და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების აღმოსაფხვრელად, ასევე, არასრულწლოვანთა და ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის

[15] Domestic violence is widely accepted in most developing countries, new study reveals https://www.sciencedaily.com/releases/2018/10/181031141437.htm

წინააღმდეგ, საჭიროა ამ საკითხების შესახებ სწორი პოლიტიკის, საერთაშორისო თუ სახელმწიფო სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება, ასევე, საზოგადოების ინფორმირება და ზრუნვა პრევენციაზე. ყოველივე ზემოთ თქმული წარმოუდგენელია, როგორც საკითხის თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი კვლევისა თუ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-დამუშავების გარეშე.

საკითხის სტატისტიკურმა შესწავლამ უნდა შექმნას საფუძველი ძალადობის ყველა ფორმის შემცირებისთვის. აღნიშნული კვლევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებით ხდება ერთგვარი პრევენციაც.

სტატისტიკა არის ხელოვნება და მეცნიერება მონაცემთა ანალიზის, კვლევისა და შესწავლის შესახებ. მისი მთავარი მიზანია შევისწავლოთ და გარდავქმნათ მონაცემები ისე, რომ მეტად გასაგები გახდეს გარემომცველი სამყარო. მოკლედ რომ ვთქვათ, სტატისტიკა არის ხელოვნება და მეცნიერება მონაცემებზე დაყრდნობით პრობლემის შესწავლის შესახებ. 16

სტატისტიკური ცოდნა გვეხმარება მონაცემთა შეგროვების სწორი მეთოდოლოგიის შერჩევაში, მონაცემთა სწორ გაანალიზებასა და შედეგების ეფექტურ გამოყენებაში. სტატისტიკა უმნიშვნელოვანესი პროცესია მეცნიერებაში ახალი აღმოჩენებისთვის, ვინაიდან მნინელოვანი დასვკნები სწორედ სტატისტიკური მონაცენებისა და პროგნოზების საშუალებით ხდება. სტატისტიკა საგნის სიღრმისეული შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური გზაა.

სოციალურ მეცნიერებების ლექსიკონი-ცნობარის[17] მიხედვით, სტატისტიკა, როგორც კვლევის მეთოდი მნიშვნელოვანია კვლევის:

ა) დაგეგმვისათვის (დიზაინისათვის) – როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ კვლევები. ეს ეხება იმას, თუ რა საშუალებებით უნდა მივიღოთ კვლევისთვის სასურველი მონაცემები და როგორ ვაწარმოოთ კვლევა. იგი შეიძლება გულისხმობდეს

[16] სტატისტიკა, მონაცმეთა შესწავლის ხელოვნება და მეცნიერება, ლექციების კურსი, სტუ, file:///C:/Users/usr1qws/Downloads/Agresti,%20Franklin-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf

[17] ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებში, http://dictionary.css.ge/content/statistics

გამოკითხვისათვის საჭირო კითხვარების კონსტრუირებისა და კვლევაში მონაწილე ადამიანების შერჩევის პროცესს.

ბ) აღწერისათვის - მონაცემების აღწერა და გამოკვლევა გულისხმობს მონაცემთა შეჯამების სხვადასხვა გზას და იმ საზომების გამოყენებას, რომელიც უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია მკვლევრისთვის.

გ) დასკვნისათვის - დასკვნითი სტატისტიკა შეიცავს მეთოდებს, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ დასკვნა პოპულაციის მახასიათებლების შესახებ მიღებული აღწერითი სტატისტიკების საფუძველზე. მაგალითად, უკანასკნელი კვლევების მიხედვით, რომელიც ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ ჩატარდა 150 თბილისელზე, გაირკვა, რომ მათგან 14%-ს სჯეროდა, რომ ფულით შესაძლებელია ბედნიერების ყიდვა. შეგვიძლია თუ არა ამ ინფორმაციის საფუძველზე გავაკეთოთ პროგნოზი თბილისის მთლიან მოსახლეობაზე, ანუ გავარკვიოთ 2 მილიონი თბილისელის რამდენ პროცენტს სჯერა ეს. არსებობს სტატისტიკური მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ხდება მცირე ჯგუფიდან მიღებული ინფორმაციის განზოგადება უფრო დიდ ჯგუფზე.

ოჯახური ძალადობის საკითხების შესწავლა თანამედროვე საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. კვლევის სხვა მეთოდებთან ერთად, საკითხის მკვლევარები, იყენებენ სტატისტიკურ მონაცემებსაც.

მიუხედავად ამისა, ოჯახური ძალადობის სტატისტიკის წარმოება მეტად რთული პროცესია, ვინაიდან პოლიციის მიმართ მიმართვიანობა ამ საკითხზე ბევრად ჩამოუვარდება სხვა ტიპის დანაშაულებს. საქართველოს შემთხვევაში, მსგავსი ტიპის დანაშაულების გენდერული კუთხით შესწავლა პოლიციის მხრიდან ფაქტობრივად არ ხდება. ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიც არის მოძალადის პიროვნება, მისი კავშირი მსხერპლთან, ძალაუფლებრივი კავშირი ხშირად უგულებელყოფილია გამოძიების დაწყების თუ მიმდინარეობის პროცესში.[18]

მონაცემთა შეგროვება და კვლევა მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის, ოჯახში ძალადობის შემცირების და აღმოფხვრის პოლიტიკის შემუშავებისთვის აუცილებელი პროცესია. ამასთან, აღნიშნული მონაცემების კვლევა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დავადგინოთ, რამდენად ეფექტურია შემუშავებული პოლიტიკა.

[18]ფემიციდი-დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, http://www.parliament.ge/uploads/other/75/75715.pdf

ოჯახური ძალადობის სტატისტიკის შემუშავებას და აღნიშნულ სტატისტიკაზე ორიენტირებას ცენტრალური როლი უკავია ქალთა, მოზარდთა და ხანდაზმულთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოებაში.

მიუხედავად საკითხისადმი მზარდი სოციალური თუ პოლიტიკური ინტერესისა, ჯერ კიდევ ცოტაა კვლევები, რომლებიც ოჯახური ძალადობის მიმართულებით სრულყოფილ სურათს დაგვანახებს.

ოჯახში ძალადობის, გენდერული საკითხების სტატისტიკა განყენებული და დამოუკიდებელი სფერო როდია, პირიქით, ის სტატისტიკის ყველა მიმართულებას შეიძლება აერთიანებდეს. აღნიშნული სტატისტიკა მიმართულია გენდერული პოლიტკის შემუშავებაზე.

ოჯახური ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორების და საერთო მახასიათებლების გამოვლენის საშუალებას იძლევა, რაც მათ პრევენციასა და აღმოფხვრაზე ზრუნვის საფუძველია.

როდესაც საუბარია ოჯახური ძალადობის სტატისტიკის მიზნებსა და ამოცანებზე უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი[19]:

ა) გენდერული სტატისტიკის წარმოება მოიცავს არა მხოლოდ სქესის მიხედვით დიფერენცირებული მონაცემების შეგრეოვებას. სქესის მიხედვით დაყოფა ნამდვილად უდევს საფუძველად გენდერულად მგრძნობიარე სტისტიკას, თუმცა, სრული სურათის მისაღებად გამოიყენება გენდერული საკითხებისა და პრობლემების ფართო სპექტრი. ასევე, მნიშვნელოვანია კონკრეტული ერთი სქესისთვის დამახასიათებელი პრობლემების ხაზგასმა (მაგალითად, დედების სიკვდილიანობა).

ბ) ქალები და მამაკაცები სრულიად ერთნაირ პირობებში ვერასოდეს იქნებიან გამომდინარე, როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური განსხვავებებიდან. სწორედ ეს განსხვავებებია ხშირად ოჯახური ძალადობის მიზეზი. გენდერული სტატისტიკის მიზანიც და ამოცანაც სწორედ მსგავსი საკითხების შესწავლაა.

[19] Guidelines for Producing on Violence against Women, https://unstats.un.org/unsd/gender/docs/Guidelines_Statistics_VAW.pdf

გ) გენდერულად მგრძნობიარე საკითხებს თავისთავადი ფასეულობა არ გააჩნიათ. ისინი მაშინ იძენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როდესაც კონრეტულ პრობლემატურ საკითხს ეხებიან. მაგალითად, დასაქმების ბაზრის შესწავლა თავისთავად საინტერესო და აუცილებელია, მაგრამ კვლევის დროს გენდერული საკითხის ხაზგასმა სულ სხვა მნიშვნელობას იძენს, თუკი სტატსტიკური მონაცემები დაგვანახებს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში მამაკაცებისთვის უფრო ადგილია დასაქმება ვიდრე ქალებისთვის, ან ქალების უმუშევრობის მაჩვენებელი დამოკიდებულია ოჯახურ ძალადობაზე და არა მათ გენდერულ დისკრიმინაციაზე.

დ) საერთო ჯამში, სტატისტიკური კვლევის დროს ოჯახური ძალადობის ჭრილში გენდერის საკითხის გათვალისწინება ან არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის კვლევა ფინანსურ დანახარჯებს არ ზრდის. რიგ შემთხვევებში კი, კითხვარში ერთი სტროფის ან სვეტის დამატებაა საჭირო სქესის მითითებით. მონაცემთა ანალიზის დროს კი ამა თუ იმ საკითხზე კონრეტული პასუხი სრულიად ნათელი ხდება, თუკი გავითვალისწინებთ რესპონდენტის სქესს.

ოჯახური ურთიერთობები და ძალადობა ბევრ წვრილმან თუ მნიშვნელოვან საკითხზეა დამოკიდებული. ამდენად, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა იწვევს ოჯახურ ძალადობას, რა სქესის და ასაკის ადამიანები არიან ძირითადად ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, რამდენად აქვთ თავდაცვის ერთნაირი საშუალება ოჯახური ძალადობისას ქალებსა და მამაკაცებს და ა.შ.

ოჯახური ძალადობის რისკების შესამცირებლად და საზოგადოებაში ქალის როლის და შესაძლებლობების გასაზრდელად ევროსაბჭომ შეიმუშავა პლატფორმა[20], რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ქალებისა და მამაკაცებისთვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად თანაბარი პირობების შექმნა;
- პირად და პროფესიულ ცხოვრებას შორის ბალანსის მიღწევის შესაძლებლობის ქონა;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები ქალებისა და მამაკაცებისათვის;

[20] https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=89&langId=en

- გენდერული სტერეოტიპების ლიკვიდაცია;
- გენდერული თანასწორობის იდეის წინ წამოწევა ევროკავშირის ქვეყნების საზღვრებს გარეთაც;
- არასრულწლოვანთა მიმართ ფსიქოლოგიური, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის აღმოფხვრა;
- ბავშვისთვის ღირსეული გარემოს შექმნა, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ხელშეწყობა;
- ხანდაზმულთათვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა.

აღნიშნულ დოკუმენტში ხაზგასმულია ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების სტატისტიკის მნიშვნელობა ამ პუნქტების იმპლიმენტაციისთვის. ასევე, ისეთი ინდიკატორების შემუშავება, როგორიცაა ჯანმრთელობა, კრიმინალი და კრიმინალის მსხვერპლთა მდგომარეობა.

ასევე მნიშვნელოვანია გაეროს პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმაც[21], რომლის ყველაზე პრობლემური ნაწილი სწორედ სტატისტიკურ შესწავლას მოითხოვდა. სტატისტიკური მონაცემების აუცილებლობა განპირობებული იყო პოლიტიკის შემუშავების საჭიროებით, ასევე, შემუშავებული პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების თვალსაზრისით.

პეკინის დეკლარაციის მიხედვით, ხაზგასმული იყო ოჯახური ძალადობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი და მათი სტატსტიკური შესწავლის მნიშვნელობა:

1. სიღარიბე - „ქალებში სიღარიბის დონის შენარჩუნება და ზრდა“. ქალთა შორის სიღარიბე შეიძლება გამოწვეული იყოს მაკროეკონომიკური პოლიტიკით, სოციალური უზურუნველყოფის სისტემით ან საკრედიტო პოლიტიკით, რომლებიც არ ითვალისწინებენ ქალთა მდგომარეობას. სიღარიბემ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ქალისა და მამაკაცის, როგორც პიროვნულ, ასევე საოჯახო ურთიერთობებზე. ქალთა სიღარიბის მიზეზი შეიძლება გახდეს, ასევე დაქვრივება ან შვილების გაზრდა მეუღლის ან პარტნიორის გაერშე.

[21] პეკინის დეკლარაცია https://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20R.pdf

2. განათლება და პროფესიული მომზადება: „უთანასწორობა და არაადეკვატური შესაძლებლობები განათლების სფეროსა და პროფესიული მომზადების საკითხებში, ასევე, უთანასწორო ხელმისაწვდომობა აღნიშნული რესურსებისადმი“. გოგონებსა და ქალებს განათლებაზე უფრო შეზღუდულად მიუწვდებათ ხელი, ვიდრე ვაჟებსა და მამაკაცებს. ხშირად არსებობს სექსობრივი სეგრეგაცია, რომელიც ქალსა და მამაკაცს განათლების სხვადასხვა საფეხურზე აყენებს, რაც იწვევს უთანასწორობას შრომის ანაზღაურების საკითხებში. როგორც წესი, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა ქალებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მამაკაცებისათვის, ვინაიდან ქალები მეტად არიან დაინტერესებული განათლების შედარებით მაღალი საფეხურით ან უფრო ზრდასრულ ასაკში დასაქმებით, შვილების აღზრდისა და მოვლის შემდეგ. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცსაც შეიძლება მოუწიოს ახალი ცოდნის მიღებაზე ზრუნვა, თუკი შრომის ბაზარი მისგან ამას მოითხოვს.

3. ჯანმრთელობა: „უთანასწორობა და არაადეკვატურობა ჯანდაცვის და მომიჯნავე სფეროებში და შესაბამის მომსახურეობებზე უთანასწორო ხელმისაწვდომობა’’. კონრეკტულ სიტუაციებში შესაძლოა ნაკლები ხელიმისაწვდომობა ჰქონდეთ ჯანდაცვის მომსახურეობაზე. ჯანდაცვის სფეროს გარკვეული მომსახურეობები ეხებათ მარტო ქალებს, ისეთები როგორიცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სპეციფიკური ფორმები, მშობიარობა, მკერდის კიბო ან პროსტატის კიბო მამაკაცების შემთხვევაში.

4.ძალადობა: „ქალთა მიმართ ძალადობა“. ძალადობას, რომელსაც საფუძლად გენდერული უთანასწორობა უდევს, ძირითადად მამაკაცები ჩადიან ქალთა მიმართ და ამ კატეგორიაში შედის ოჯახური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროვება სამსახურში, ქალებით, არასრულწლოვნებით ვაჭრობა და პოსტიტუციის იძულება, ასევე, ძალადობრივი ქორწინება არასრულწლოვანთა შემთხვევაში. ქალთა და მოზარდთა მიმართ ძალადობა ხშირად არის, როგორც მიზეზი, ასევე შედეგი მისი გენდერული კუთვნილების.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები მცირედია იმ ნუსხიდან, რაც იწვევს ოჯახურ ძალადობას და რისი სტატისტიკური მონაცემების არსებობაც გარდაუვლად აუცილებელია ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევების დროს სქესობრივი საკითხის გათვალისწინება მნიშვენლოვან სურათს იძელვა ბევრ საკითხში. მაგალითად, როდესაც საუბარია ოჯახურ ძალადობაზე, რომელიც ხდება დიასახლისის მიმართ, ამ შემთხვევაში, ნათელი უნდა იყოს, ვისზეა საუბარი: ქალზე, რომელსაც არ აქვს სამსახური და არის დიასახლისი, თუ ძალადობის მსხვერპლი უმუშევარი მამაკაცია.

შემდეგი მაგალითი ეხება რეალობის ცალმხრივ ასახვას: ოჯახური მდგომარეობა, დაბადებამდე ბავშვის სქესის არჩევა, კონტრაცეპცია, შვილების რაოდენობა - როგორც წესი ეს მონაცემები არ გროვდება მამაკაცებზე, ვინაიდან ასეთი ინფორმაციის ფლობა მინდობილია ქალებზე. თუმცა, შვეიცარიაში, მონაცემთა შეგროვების პროცესში, მსგავსი კითხვები ერთნაირად ეხება ორივე სქესს.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკისადმი ინტერესი ხშირად გამოწვეულია ინტერესით გენდერული საკითხების ანალიზისადმი ანუ ქალისა და მამაკაცის განმასხვავებელი ნიშნების იდენტიფიცირებით, გენდერული უთანასწორობის საკითხების წინ წამოწევის სურვილით. უამრავი თანამედროვე პოლიტიკური მიდგომა მიმართულია გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრისკენ, რაც თავისთავად ოჯახური ძალადობის პრევენციასაც გულისხმობს. შესაბამისად, ამ სფეროს სტატისტიკის წარმოება აუცილებელია პროგრესის შესაფასებლად. თუმცა, გენდერული თანასწორობის კონცეპციები ერთობ რთული და მრავალშრიანია, შესაბამისად, მათი პროგრესიც მეტად რთული შესასწავლი და გამოსაკვლევია. გენდერული თანასწორობა დამოკიდებულია  გენდერული განსხვავებების აღქმის უნარზე. ნუთუ ყველა განსხვავება უთანასწორობის ნიშანია? ნიშნავს კი გენდერული თანასწორობის მიღწევა საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის შეცვლას თუ ეს უფრო რთული და სიღრმისეული პრობლემაა,რომელიც მამაკაცის შეცვლასაც მოითხოვს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ბევრ საკითხს მოფენდა ნათელს.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკის შემუშავება სტატისტიკის ყველა კლასიკური წესის გათვალისწინებით ხდება. თუმცა, პირველი სირთულე, რომელსაც ამ ტიპის

სტატისტიკის  სპეციალისტები აწყდებიან ისაა, რომ უჭირთ აღნიშნული სტატისტიკის მნიშვნელობის ახსნა და დასაბუთება პოტენციური მომხმარებლისთვისაც კი. ბევრი თვლის, რომ ოჯახური ძალადობის სტატისტიკის აუცლებლობა არ დგას დღის წესრიგში, ვინაიდან ქალებსა და მამაკაცებს საზოგადოებაში თანასწორი უფლებები აქვთ. თითოეული მათგანის, ასევე, ბავშვთა თუ ხანდაზმულთა მდგომარეობის და პირობების ამსახველი სოციოლოგიური კვლევები ცალ-ცალკე და სხვადასხვა მიზნით ხშირად ტარდება. თუმცა, რეალურად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალსა და მამაკაცს განსხვავებული ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში: მათ თვითრეალიზების განსხავებული რესურსები აქვთ, განსხვავებულია მათი ინტერესები და უნარებიც. აუცილებლად ხაზგასასმელია, რამდენად მოწყვლადი ჯგუფია არასრულწლოვნები, რომლებიც ყველაზე დაუცველები არიან მოძალადე უფროსების წინაშე. თუმცა, აუცილებლად გასამიჯნია ბავშვის მიმართ ძალადობა ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობისგან ქუჩაში, სკოლაში, თანატოლების მხრიდან და ა.შ. ვინაიდან ძალადობის ამ განსხვავებულ ფორმებს განსხვავებული მიზეზები და შედეგები აქვთ არასრულწლოვანისთვის. სტატისტიკა კი, რომელშიც აღნიშნული ნიუანსები გათვალისწინებული არ არის, ვერ იქნება ქმედითი და ინფორმატიული.

სტატისტიკური მონაცემების გენდერული და ასაკობრივი პრინციპით დაყოფა სხვა სოციალურ კატეგორიებად დაყოფასთან ერთად განხილვის შემთხვევაშია საინტერესო და რელევანტური. ქალები და მამაკაცები ბევრი სოციალური მაჩვენებლითაც განსხვავდებიან: იქნება ეს განათლების დონე, ხელფასის ოდენობა, პროფესიისადმი ხელიმისაწვდომობა (ვინაიდან ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს „მამაკაცური პროფესიის“ ცნება და ითვლება, რომ მაგალითად, მეშახტე ქალი ვერასოდეს გახდება). გენდერული კვლევის სოციალური ასპექტისთვის მნიშვნელოვანია ქალთა და მამაკაცთა კლასობრივი კუთვნილება, ფიზიკური შესაძლებლობები, სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება, გენდერული განსხვავება შეიძლება იყოს ქალაქის და სოფლის მცხოვრების სტატუსის მიხედვითაც.

თუმცა,  ხვადასხვა ტიპის განმასხვავებელი მახასიათებლები  შესაძლოა ავსებდეს ერთმანეთს და მულტიპლიკატური ეფექტი ჰქონდეს. მაგალითად,  Human Development

Reports 2004[22] წლის კვლევის მიხედვით, ჩრ. ევროპის 9 ქვეყანაში ბოშა ქალისთვის საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა ხუთჯერ ნაკლებია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლისთვის. თუმცა, ბოშა მამაკაცების რაოდენობა, რომელთაც საშუალო განათლება მიიღეს, ორჯერ აღემატება ბოშა ქალების რაოდენობას. ბოშა ქალები დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან არა მხოლოდ, როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და ქალები, არამედ მათი უფლებები უფრო მეტად ილახება სწორედ ამ ორი სოციალური ჯგუფის ერთდროული მიკუთვნებისთვის. ამდენად, მნიშვნელოვანია ინფორმაცია შეგდროვდეს არა მხოლოდ სქესის მიხედვით, არამედ რამდენიმე სოციალური პარამეტრის ერთდროულად გათვალისწინებით.

## 1.2. ოჯახური ძალადობის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა-დახვეწის თავლსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ოჯახური ძალადობა მოიცავს ქალთა, მოხუცთა, არასრულწოვანთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ ძალადობას. ოჯახური ძალადობა ის საკითხია, რომელიც საზოგადოების ყველა სოციალურ, ეკონომიკურ, რელიგიურ თუ კულტურულ ფენას და შრეს მოიცავს.

საქართველოში ოჯახური ძალადობის საკითხებს შემდეგი სამართლებვრივი აქტები არეგულირებს:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ";
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი;
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;

[22] UN, HUMAN DEVELOPMENT REPORT 2004, http://hdr.undp.org/sites/default/files/reports/265/hdr_2004_complete.pdf

- კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ;
- კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.

შესაბამისად, 1994 წელს საქართველო უპირობოდ შეუერთდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენციას. ასევე, ყოველგვარი დათქმების გარეშე შეუერთდა 2017 წელს ე.წ. სტამბოლის კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის თანასწორობის ნაწილში. აღნიშულ ნაწილში ხაზგასმულია, რომ დასახვეწია შესაბამისი კანონმდებლობა ქვეყანაში და აუცილებელია ძალადობის მსხვერპლისთვის დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა. [23]

2006 წელს საქართველომ მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, რომელშიც მას შემდეგ რამდენჯერმე შევიდა შესაბამისი ცვლილებები. აღნიშნული კანონის მიღებას მოჰყვა ცვლილებები სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ კოდექსებში, ასევე შემუშავდა სამოქმედო გეგმა.

ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის, იურიდიული და სამედიცინო დახმარების მიზნით, 2008 წლისთვის თავშესაფრების შექმნა დაევალა. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ასეთი სახელმწიფო თავშესაფარი, პირველად, 2010 წელს დაარსდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვედეთის მთავრობის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.[24]

საკანონმდებლო საკითხების დეტალურ განხილვამდე აუცილებელია განვმარტოთ ოჯახური ძალადობის ფორმები. ამერიკელი მკვლევარი ჩარლზ ტ. მაკკორნიკი განმარტავს, რომ ოჯახური ძალადობა არის „სისტემატიური,

---

[23]საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, www.mfa.gov.ge

[24]ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20vaw%20study%20report%20geo.pdf?la=ka&vs=0

ესკალირებადი და განგრძობადი''. [25] მკვლევარი ძალადობას სამ ფაზად ყოფს: დაძაბულობის დაწყების, ძალადობის და თაფლობისთვის ფაზებად. ოჯახური ძალადობა, როგორც წესი არის მრავალჯერადი, ის თანდათან ყალიბდება და აღწევს გარკვეულ კულმინაციას. როგორც წესი, მოძალადესა და მის მსხვერპლს მჭიდრო კავშირი აქვთ და ამდენად, ფაქტი გულდასმით იმალება.

ყველა სახის, მათ შორის, ოჯახურ ძალადობას გააჩნია თავისი გამომწვევი მიზეზები. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის[26] მიხედვით, ძალადობის გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარება:

- პრობლემები დასაქმების ბაზარზე;
- ახალგაზრდების ფინანსური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი;
- ბავშვებისათვის სახლის გარეთ სათამაშო სივრცის ნაკლებობა;
- საოჯახო საქმეებში ქალის ტრადიციული როლის დომინირება;
- ნარკომანია;
- ალკოჰოლიზმი;
- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება და სხვ.

ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორებად კი მიჩნეულია პიროვნების ნაკლები ჩართულობა საზოგადოების ცხოვრებაში

[25] T McCormick - Convicting Domestic Violence Abusers when the Victim Remains Silent (1998) 13 BYU Journal of Public Law 428 at p.431. https://www.abdn.ac.uk/law/documents/EvidentiaryBarrierstoConvictionin.pdf

[26] ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, https://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf

დიაგრამა 2

მაკკორმიკის ძალადობის სამი ფაზა

წყარო: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი

ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების სურვილი. მოძალადე განზრახ მიმართავს ძალადობას, მსხვერპლზე გავლენის მოპოვების მიზნით. უმეტეს შემთხვევაში, ფიზიკურ ძალადობას წინ უძღვის მსხვერპლის დამცირება და დაშინება. ძალადობის შედეგად მოპოვებული კონტროლი კი გამოიხატება მსხვერპლის თავისუფალი ნების გამოვლინების შეზღუდვაში, იზოლაციასა და მანიპულირებაში. [27]

ხაზგასასმელია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობის შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურების გამართული მუშაობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროული და სწორი რეაგირება, ასევე, სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა.

[27] საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი

საქართველოში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულების მიზნით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოციალური მომსახურების მექანიზმის შემუშავებას და პროფესიონალი სოციალური მუშაკების აქტიურ ჩართულობას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალური მუშაკების როლი ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია. ახლა, როდესაც გახშირებულია ფემიციდისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევები, დაუშვებელია სოციალური მომსახურების განვითარების შემდგომი დაყოვნება[28].

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის[29] მიხედვით, ძალადობაზე მყისიერი რეაგირებისთვის გამოიყენება დამცავი და შემაკავებელი ორდერები. აღნიშნული ორდერების გაცემის მიზანია მოძალადის შეკავება და მსხვერპლისთვის გარკვეული სახის დაცვის გარანტიების მიცემა, დროებით მაინც.

კანონში ნათქვამია, დამცავი ორდერი არის მოსამართლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც, გამოცე-მიდან კანონით დადგენილი დროის განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. შემაკავებელი ორდერი შეიძლება გაიცეს 1 თვემდე ვადით.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების, საგამოძიებო ორგანოების, სასამართლოს მიერ ხდება. აღნიშნული ღონისძიება აუცილებელია, რათა მოხდეს მოძალადის მიმართ სამართლებრივი დევნა. მსხვერპლის სტატუსი გაცემის დღიდან 18 თვის განმავლობაში მოქმედებს. მსხვერპლს უფლება აქვს თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში განთავსებისას ისარგებლოს უფასო

[28] http://www.parliament.ge/uploads/other/75/75664.pdf
[29] ოჯახური ძალადობის შესახებ კანონი, მუხლი 9, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665073?publication=0

სამართლებრივი კონსულტაციით, უფასო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით და ფსიქოლოგიური დახმარებით. [30]

2017 წელს ქართული სასამართლოების მიერ განხილული ოჯახური ძალადობის 741 საქმიდან ოჯახური ძალადობა დადასტურებულია 553 შემთხვევაში. იდენტფიცირებულია ძირითადად, ძალადობის ორი სახე: ფისქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა - 182 შემთხვავა.

დიაგრამა 3




წყარო: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი

საქართველოში ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისთვის სამართლებივი და საკანონდემლო ბაზის შექმნასთან და გამართვასთან ერთად მნიშვნელოვანია მოხდეს ოჯახური ძალადობის კონკრეტული ფაქტების შესწავლა, რათა დადგინდეს ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები. საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზის დოკუმეტში საუბარია იმაზე, რომ სწორედ ამ მიმართულებით მუშაობა არ მიმდინარეობს საქართველოში. სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პრობლემასთან ბრძოლის ძირითადი სტრატეგიები გულისხმობს ოჯახში ძალადობის კონკრეტული ფაქტების გამოვლენას და ამ ფაქტების აღკვეთას. პრობლემის სიღრმისეული ძიება არ ხდება. კრიჟანისა და პოპას მიხედვით, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკაში დომინანტურია დე-გენდერული ჩარჩო, მისთვის

[30] კანონი ოჯახური ძალდობის შესახებ, მუხლი 17, ე პუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665073?publication=0

(პოლიტიკისთვის) დამახასიათებელია პრობლემის სიმპტომებზე და არა მიზეზებზე ფოკუსირება (კრიჟანი, პოპა, 2010:5).[31]

მნიშვნელოვანი პრობლემაა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი. ბავშვის ფიზკური დასჯის შეუწყნარებლობის პრაქტიკა საქართველოში საკმაოდ ნელა ინერგება, თუმცა ბოლო პერიოდში გახშირდა სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენების მიღება იმ მშობლების მიმართ, რომლებიც თვლიან, რომ დასჯით შესაძლებელია აღმზრდელობითი მიზნების მიღწევა.

უზენაესი სამსამართლოს მიერ განხილულ საქმეთა მიხედვით ვლინდება, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების უმეტესობა გოგონაა. ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის 136 შემთხვევიდან 79 დაზარალებული გოგონა იყო. [32]

## 1.3 ოჯახური ძალადობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა

ოჯახური ძალადობა, როგორც სოციალური ფენომენი, სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანია.

სოციალური სტატისტიკის საგანი და ამოცანებია სოციალური სტატისტიკისა და ეკონომიკური თეორიის ურთიერთკავშირი, სოციალურ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ფორმირების, სოციალური სტატისტიკის განვითარების რეტროსპექტივა, სოციალურ მოვლენათა სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიის პრობლემები, სოციალურ – სტატისტიკურ მონაცემთა უტყუარობის საკითხები.

“სოციალური სტატისტიკის” ცნების ორგვარი გაგება გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში: სოციალური სტატისტიკა, როგორც მეცნიერების სფერო და სოციალური სტატისტიკა, როგორც პრაქტიკული საქმიანობის სფერო. სოციალური სტატისტიკა, როგორც მეცნიერების სფერო უზრუნველყოფს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელი რიცხვითი ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და ანალიზის ხერხებისა და მეთოდების სისტემის

[31] საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი
[32] საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახური ძალადობის საქმეებში, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-standartebis-asaxva-ojaxshi-zaladobis-saqmeebshi.pdf

შემუშავებას, ხოლო სოციალური სტატისტიკა, როგორც პრაქტიკული საქმიანობის სფერო, მიმართულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ამა თუ იმ სოციალური პროცესების დამახასიათებელი რიცხობრივი მონაცემების შეგროვებისა და განზოგადებისაკენ.

სოციალურ სტატისტიკას განვითარება დამოკიდებულია ამ ორი სფეროს ერთიანობასა და ურთიერთკავშირზე.

საზოგადოების ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირების ადრეულ პრიმიტიულ ფორმებს არ გააჩნდათ სპეციალურად შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა. მონაცემების შინაარსის გართულებამ და სახელმწიფოსა და ეკონომიკის მმართველობაში მათი მნიშვნელობის გაზრდამ მონაცემების რეგისტრაციისა და განზოგადების უფრო რთული ხერხების გამოყენება, ინფორმაციის ერთგვაროვნებისა და უტყუარობის უზრუნველყოფისათვის სპეციალური ზომების მიღება გამოიწვია.[33]

სააღრიცხვო სტატისტიკის სამუშაოები პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებელ სახეობად იქცა და შეიქმნა სპეციალური ორგანოები, რომლებიც ამ სამუშაოებს ასრულებდნენ. აღრიცხვის მხრივ სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მუშაობა გამოეყო პრაქტიკულ მუშაობას. დაიწყო სტატისტიკის სფეროში სპეციალისტთა კადრების მომზადება. ერთიანი სტატისტიკიდან გამოეყო ამ მეცნიერების დამოუკიდებელი დარგები: მრეწველობის სტატისტიკა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, მოსახლეობის სტატისტიკა და ა.შ. მათგან სოციალურმა სტატისტიკამაც მიიღო „ავტონომიის უფლება“.

სოციალური სტატისტიკა სხვა დარგების სტატისტიკებისაგან არა მხოლოდ თავისი კვლევის საგნითა და ობიექტით განსხვავდება, არამედ იმ თავისებურებებით, რომელიც მდგომარეობს მისი ამოსავალი ინფორმაციის მოპოვების განსაკუთრებულ წყაროებში, დამუშავებისა და განზოგადების ხერხების გამოყენებაში, ანალიზის შედეგების პრაქტიკული გამოყენების განსაკუთრებულ გზებში.

არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სოციალური სტატისტიკა ჩაისახა სტატისტიკის მეცნიერების დამაარსებლის ცნობილი პოლიტიკური არითმეტიკოსის –

[33] სოციალური სტატისტიკა, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socstatist.pdf

ვილიამ პეტის (1623-1687) შრომებში[34] . მოგვინებით ა. კეტლე, რ. მაიო-სმიტი, ა. ბოული დაინტერესდნენ სოციალური სტატისტიკის ქვედარგით – მორალური სტატისტიკით და სტატისტიკისა და სოციოლოგიის ურთიერთკავშირი.

ცნობილმა ბელგიელმა სტატისტიკოსმა ა. კეტლემ (1796-1874), რომელმაც პირველმა გამოიყენა მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდები და დააფუძნა სტატისტიკის მათემატიკური მიმდინარეობა, შეისწავლა ადამიანის მორალური თვისებები და მისი მიდრეკილება – თვითმკვლელობაზე. თავისი წიგნის პირველ ტომში, იგი აყალიბებს რა დამნაშავეობის ციფრებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ეს მთელ რიგ კანონზომიერებას ექვემდებარება . სწორედ სოციალურ საკითხებს ეკუთვნის მის მიერ 1829 წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული პირველი პროგნოზული მაჩვენებელი 1830 წლისათვის საფრანგეთში ცალკეული იარაღების გამოყენებით მკვლელობათა რაოდენობის შესახებ. მან დაადგინა, რომ საზოგადოებრივი მოვლენებიც ხასიათდება განვითარების შინაგანი აუცილებლობით, თუმცა ამ აუცილებლობის ახსნა ვერ შეძლო.

სოციალური სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიას თუ დავაკვირდებით, პირველ რიგში ხდება სოციალური ინფორმაციის შეგრეოვება. სოციალური ინფორმაცია ინფორმაციის რთული სახეა, რაც დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან. მისი შინაარსი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს, მოვლენებსა და პროცესებს. იგი ცოდნის, ცნობების, მონაცემებისა და შეტყობინების ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოებაში ყალიბდება, კვლავიწარმოება და გამოიყენება ინდივიდების, კლასების, ორგანიზაციების, ჯგუფების, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების მიერ სოციალური ზემოქმედების საზოგადოებრივი ურთიერთობების, აგრეთვე ადამიანებს შორის ურთიერთობების რეგულირებისათვის.35

მნიშვნელოვანი საკითხია სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანი, რომელსაც წარმოადგენს საზოგადოებაში მიმდნარე სოციალური მოვლენების მუდმივი ანალიზი.

[34] საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა, http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000775/Avt.M.I.%202014%29.pdf
[35] Краткийсловарьпосоциологии. М., 1988, с. 101

სოციალური პროცესების სოციალური სტატისტიკა გვაწვდის მონაცემებს კვლევის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი როცხობრივი მახასიათებლების შესახებ.[36]

სტატისტიკური ინფორმაცია პირველადი სტატისტიკური მასალაა, რომლის ფორმირება ხორციელდება სტატისტიკური და კვირვების პროცესში. შემდეგ კი ხდება მისი სისტემატიზაციაში მოყვანა, დაჯგუფება, დამუშავება, გაანალიზება, განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვის ღონისძიებათა შემუშავება.[37]

სოციალური სტატიკის კვლევის საწყის ეტაპზე, ეპმირიული ინფორმაციის მოპოვების უნიშვნელოვანეს პროცესში პასუხი უნდა გაეცეს კითხვებზე: არ მეთოდოლოგიით უნდა ჩატარდეს ჯვლევა და რომელი წყაროებიდან იქნას აღებული კვლევისთვის აუცილებელი ინფორმაცია. ეს არის კვლევის სტრატეგიის განსაზღვრის პროცესი.

ემპირიულ მონაცემთა მისაღებად სამი ძირითადი სახე გამოიყოფა:

- კვლევისთვის აუცილებელი დოკუმენტების ანალიზის მეთოდი;
- გარკვეულ სოციალურ სიტუაციებში ადამიანთა მოღვაწეობის სფეროზე დაკვირვება გაკვეული კანონზომიერებების გამოსავლენად;
- სხვადასხვა სოოციალური ჯფუფების გამოკითხვის მეთოდი.[38]

კვლევის თითოეული სახე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაში გვეხმარება. თუმცა, არცერთი მეთოდი არ არის უნიკალური. ამდენად მნიშვნელოვანია მეთოდების კომპლექსური გამოყენება.

ხაზგასასმელია სოციალურ სტატისტიკურ კვლევისას დავკრივების მეთოდის სხვადასხვა სახეობის გამოყენების აუცილებლობა. დავკირვაბა შეიძლება იყოს სამი სახეობის:

- ანგარიშგება;
- სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება;
- სარეგისტრაციო დაკვირვება.

[36] სოციალური სტატსტიკა, https://drive.google.com/file/d/1_AGq6wLpsmIgItHJwa2xwVomrbmTbaxD/view
[37] სოციალური სტატსტიკა, https://drive.google.com/file/d/1_AGq6wLpsmIgItHJwa2xwVomrbmTbaxD/view
[38] სოციალური სტატისტიკა, ექციების კურსი, ს. გელაშვილი, ზ. შონია, რ. ქინქლაძე, გვ. 30-31

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით პოპულარულია წინასწარ შერჩევით დაკვირვების მეთოდი. დაკვირვების შემთხვევაში გამოიყენება სრული და არასრული, განმეორებითი და განუმეორებელი სახეები.

დავკირვება შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს, მაგრამ ნებისმიერი სახის დაკვირვების წარმოებისას აუცილებელია შერჩევის სახეებისა და მეთოდების დაცვა.

მარტივი შემთხვევითი შერჩევა ხორციელდება მთელი ერთობლიობიდან დაკვირვების ერთეულის შერჩევის ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი ალბათობის პრინციპის საფუძველზე.

შემთხვევითი შერჩევისას აუცლებელია გენერალური ერთეულებოს ყველა ერთეულის ჩამოთვლა. ეს მეტოდი იშვიათად გამოიყენება.

მექანიკური შერჩევის დროს შერჩევა სავკვლევი მონაცემების ზრდადობის ან კლებდობის მიხედვით მექანიკურად ხდება.

სრული შერჩევის დროს მონაცემები შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან „სერიებად“ და შერჩევა მოხდეს თითოეული „სერიის“ შესაბამისად.

ბუდობრივი შერჩევის დროს ხდება არა ცალკეული ერთეულების, არამედ ჯგუფების შერჩევა და კვლევა.

დაკვირვება შეიძლება იყოს განმეორებადი ან განუმეორებელი. განმეორებადი დაკვირვების დროს საკვლევ ობიექტზე ან ობიექტთა ჯგუფზე კვლევის ჩატარებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კვლავ ხდება დაკვირვება. განუმეორებელი დაკვირვებები უფრო ხშირია და ამ შემთხვევაში ნაკლებია ცდომილებები. ამასთან, სოციალური მოვლენების უმეტეს ნაწილზე ხელმწორედ დაკვირვება ფიზიკურად შეუძლებელია.

დაკვირვების სამი ორგანიზაციული ფორმა გამოყოიყოფა: ანგარიშგება , სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება და სარეგისტრაციო დაკვირვება.

სარეგისტრაციო დაკვირვება გაკრვეულ სოციალურ მოვლენაზე დროის უწყვეტ მონაკვეთში მუდმივ სტატისტუიკურ დაკვირვებას გულისხმობს. ის შედარებით ახალი ფორმაა სოციალური სტატისტიკის კვლევის.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურ გამოკვლევაში გამოყოფენ სრულ და არასრულ დაკვირვებას, რომელთაგან ეს უკანასკნელი უფრო რელევნატურია სოციალური სტატისტიკის წარმოებისთვის.

დაკვრვება შეიძლება იყოს მომენტალური და  დროში განგრძობილი.

სოციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში მნიშვნელოვანი რესურსია გამოკითხვა, როგორც ვერბალური ინფორმაციის მოპოვების მეთოდი. გამოკითხვის დროს მკვლევარსა და რესპონდენტს შორის უშუალო, შეიძლება ითქვს, პიროვნული დამოკიდებულებები ყალიბდეა და ინტერვიუერი იღებს, როგორც ყოფით ინფორმაციას, ასევე, რესპონდენტის აზრებს, შეფასებებს, შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხზე.

გამოყოფენ ანკეტური გამოკითხვას და ინერვიუს. ყველაზე გავრცელებული სოციალრი სტატისტიკის კველვაში სწორედ ანკეტური გამოკითხვაა. ანეკტა წარმოადგენს კითხვათა ერთობლიობას, რომლებიც ისე სვამენ საკიტხს, რომ რესპონდენტისგანს აკვლევ საკითხზე მაქსიმალურად მრავალმხირივ და მრავალფეროვანი პასუხები მიიღონ. ანეტა შეიცავს ღია და დახურულ კითხვებს და ანკეტური გამოკითხვა შეიძლება განხორციელდეს, როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურად.

ინტერვიუ –გამოკითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომლის დროსაც მონაცემთა მიღება ხდება გარკვეული პროგრამის მიხედვით, რესპონდენტისა და ინტერვიუერის პირადი ურთიერთობის გზით. ინტერვიუს ორი ფუნქცია აქვს: პროცესების, ფაქტების, მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღება და რესპონდენტზე ზემოქმედება. ჩვენთვის საინტერესოა პირველი ფუნქცია. [39]

ოჯახებისა და შინამეურნეობათა, მოსახლეობის ცხოვრების დონის, შრომითი, ოჯახური ძალადობა, ოჯახური ძალადობით გამოწვეული დეპრესია, თვითმკვლელობა, ფემიციდი სწორედ სოციალური სტატისტიკის კვლევის საკითხებია.

ინტეივიუსა და ანკეტა გამოკითხვას ყოველთვის არ აქვს ის ეფექტი, რაც კვლევისთვისაა საჭირო და ამ შემთხვევაში კვლევაში ერთვება საექპსერტო გამოკითხვის მეთოდი, რომელსაც ასევე „დელფის მეთოდსაც'' უწოდებენ.

[39] სოციალური სტატისტიკა https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.pdf

„დელფის მეთოდი'' [40]თავის თავში აერთიანებს:

- ანკეტა გამოკითხვას;
- ინტერვიუირებას;
- ე.წ. ბრეინ სტორმინგი

საქმიანობის, მოსახლეობის დროის ბიუჯეტის, განათლების, მორალურ – სამართლებრივი და პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკა ყურადსაღები და მნიშვნელოვანია ყველა ცივილიზეული საზოგადოებისთვის. იმისთვის, რომ ოჯახური ძალადობის შესახებ კვლევები ეფექტური იყოს, სტატსიტიკური კვლევის ამოცნაა, ამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს უპასუხოს. შეგროვილი მონაცემები უნდა შეიცავდეს ისეთინფორმაციას, როგორიცაა

- ძალადობის ტიპი (რა ტიპის ძალადობასთა გვაქვს საქმე: ფიზიკრი, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ა.შ.)
- · მსხვერპლის და მოძალადის სქესი (რათა და გინდეს, ქალთა მიმართ ძალადობასთან გვაქვს საქმე თუ არ );
- მსხვერპლის და მოძალადის ასაკი (რა ა დადგინდეს, რა ასაკობრივი ჯგუფის მიმართ გვაქვს ძალადობა);
- დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებული ურთიერთობა (რათა გავაკრვკიოთ, ოჯახიურ ძალადობაზე ვსაუბრობთ თუ არა);
- გეოგრაფიული მდებარეობა (რათა კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები თუ ზოგადი პოლიტიკა რელევნატური იყოს იმ ეთნიკური, გეოგრაფიული ჯგუფის მიმართ, მათი სოციალური, კულტურული თავისებურბების გათვალისწინებით ):
- მსხვერპლთა რაოდენობა ( პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით);
- დამნაშავეთა რაოდენობა (მოძალადეთა პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობის საერთო რაონდენობასთან მიმართებით);

[40] Метод Дельфи – в чем заключается, достоинства и недостатки, как его эффективно использовать? Источник: http://kak-bog.ru/metod-delfi-v-chem-zaklyuchaetsya-dostoinstva-i-nedostatki-kak-ego-effektivno-ispolzovat

საუკეთესო შემთხვევაში, ანალიზის ხელშეწყობის მიზნით დამატებითი ინფორმაციის შეგროვებაც ხდება:

- შეზღუდული შესაძლებლობა; სხვა (მაგ. მიგრანტის ან ლტოლვილის სტატუსი)
- ჰქონდა თუ არა ადგილი ძალადობას წინა წელს (ან დრის სხვა შესაბამის პერიოდში, მათ შორის ცხოვრების განმავლობაში).

ოჯახური ძალადობის საკითხების სტატსტიკაზე მუშაობისას აუცილებელია რელიგიური საკითხის შესწავლაც.

სოციალური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს საოზგადოებაში, ოჯახში სერიოზული კვლევის საგანია, რამდენადაც ოჯახი საკმაოდ დაუხურული ინსტუტია და მასში მიმდინარე პროცესებში ხშირ შემთხვევაში არ ვერ ხდება საჯარო. არადა, მსგავსი ფაქტების გასაჯარეობა აუცილებად უნდა მოხდეს, არა იმისთვის, რომ კონრეტულ ოჯახსა და მის პრობლემებზე მეზობლებმა და ნათესვაებმა იქილიკონ, არამედ იმისთვის, რომ  თითოეულ ძალადობის პრობლემბის მქონე ოჯახში მიაღწიოს სახელწმიფომ, სტრუტურებმა, რომელთაც შეუძლიათ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრა და პრევენცია. სოციალური სტატისტიკის წარმოება კი ერთობ მნიშვნელოვანი საკითხია ამ პროცესში.

# თავი II. ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგია

## 2.1 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის საერთაშორისო პრაქტიკა

ოჯახური ძალადობა ზემოქმედებს საზოგადოების სტრუქტურაზე გლობალური მასშტაბით. ოჯახური ძალადობის პრობლემა იმდენად მნიშვნლოვანია, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ხელისუფლებები, არასამთავრობო ორგანიზაცები, ასევე, გაერთიანებული ერების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ზრუნავენ ამ საკითხის შესწავლაზე, გამოკლევაზე, სტატისტიკური თუ სხვა სახის მონაცემების შეგროვებაზე. აღნიშული კვლევების ჩატარების პრაქტიკასა თუ მეთოდოლოგიის შემუშავება დახვეწაზე დიდი რესურსი იხარჯება.

ზუსტი და ყოვლისმომცველი მონაცემები ოჯახში ძალადობის შესახებ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის ხაზგასმისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია. შესაბამისი ზომების მისაღებად პოლიტიკოსებს და უფლებადამცველებს სჭიდებათ ზუსტი ციფრები და სტატისტიკური მონაცემები ოჯახური ძალადობის ფორმების, სახეების, ხასიათის, მიზეზების შესახებ. მსგავსი ინფორმაცია სწორი სტრატეგიის შემუშავების საწინდარია. სწორი სტრატეგია და სწორად ინფორმირებული საზოგადოება კი უფრო დაცულ საზოგადოებას ნიშნავს, ვინაიდან  საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ „ოჯახის საქმე“  მხოლოდ ოჯახს არ ეხება. ამასთან, სმგავსი კვლევები ხელს უწყობს პრობლემის მასშტატების გააზრებას, ასევე, რისკ ჯგუფების იდენტიფიცირებას, სახელმწიფო ჩარევის ეფექტურობის ხარისხის დადგენას და მსხვრეპლთა დაცვის ფორმების გაუმჯობესებას.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევა აუცილებელია, რათა შემდგომში, ვკლევის საფუძველზე მოხდეს შესაბამისი რეაგირება პრობლემებზე. ოჯახური ძალადობა კომპლექსური მოვლენაა, შესაბამისად, კვლევაც კომპლექსური უნდა იყოს.

1997 წლიდან ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ ოჯახური ძალადობის კვლევაში. კვლევის შედეგად კი ხდება ოჯახში ძლადობის და გენდერული თანასწორობის საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავება. ამ მიზნით განხორციელდა

MAGEEQ5[41] და QUING6[42] ფარგლებში. კლვევა ევროკავშირის 27 ქვეყანაში განხორციელდა. ხსენებული ორი კვლევის შედარების საფუძველზე შემუშავდა სხვადასხვა ანგარიში ოჯახური ძალადობის შესახებ. მათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია კვლევის ის ნაწილი, სადაც გაანალიზებულია ევროპული კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ. კვლევის ფარგლებში ოჯახური ძალადობა აღქმული და გაანალიზებულია, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის პრობლემა. თუმცა, ესპანეთის შემთხვევაში ოჯახური ძალადობის პრობლემა განხილულია გენდერული პრობლემის ჭრილში. თითქმის სრული თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ ოჯახში ძალადობა არის საზოგადოებრივი და არა პირადი პრობლემა და პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის აღმოფხვრაზე, ამიტომაც, თუ პრობლემა არსებობს, შესაძლოა რომ სახელმწიფოს არ შესწევს მისი გადაჭრის უნარი.[43]

აღნიშნული კვლევის შემდეგ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დამკვიდრდა კვლევის ანალოგიური ჩარჩო და მეთოდოლოგია. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შემდეგ ხდება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკის თვისებრივი კვლევა. პოლიტიკა კი განსაზღვეულია, როგორც „ორგანიზებული პრინციპები, რომლებიც ფრაგმენტულ, ან შემთხვევით ინფორმაციას გარდაქმნის სტრუქტურირებულ და გააზრებულ პრობლემად, რომლის გადაწყვეტის გზებსაც იმპლიციტურად, თუ ექსპლიციტურად მოიცავს თავად ეს პრინციპები“ (ვერლოო 2005 ციტირებული დომბოს მიერ, 2012).

კვლევის ფარგლებში რამდენიმე ძირითადი და მეორეული საკვლევი ჩარჩო ყალიბდება.

კვლევის ინსტრუმენტი, რომელიც MAGEEQ და QUING კვლევებშია შემუშავებული ადაპტირდება საკვლევი საკითხის და კვლევის მიზნების შესაბამისად. მაგალითად, ზემოთ ნახსენები კვლევის ფარგლებში საქართველოში ჩატარებული ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის კვლევის შემთხვევაში, კვლევის ინსტრუმენტად წარმოდგენილია ორი ბოლკის: დიაგნოზისა და პროგნოზის სახით.

[41] MAGEEQ – Multiple Meanings of Gender Equality – A Critical Frame Analysis of Gender Policies in Europe
[42] QUING – Quality in Gender +Equality Policieswww.quing.eu
[43] საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, გვ. 16, http://www.parliament.ge/uploads/other/75/75669.pdf

დიაგნოზის ფორმატში კვლევისთვის შემუშავებული და დასმული კითხვები საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ როგორ განისაზღვრება ოჯახური ძალადობის პრობლმა, რა აღიქმება ამ პრობლემის მიზეზად, ვინ განიხილება მსხვერპლად და ა.შ. პროგნოზის ნაწილში კი განხილულია პრობლემის გადაჭრის შსაძლო გზები, რა მექანიზმებით შეიძლება პრობლემის არსის ახსნა და მის მინიმალიზაციაზე ზრუნვა.[44]

ოჯახური ძალადობის კვლევის თანამედროვე პრაქტიკაზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია რამდენი მემნიშვნელოვანი საკითხი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ქვეყნებში ამ საკითხის კვლევის დროს:

- გამოკითხვის კონტექსტი: გამოკითხვა ტარდება დანაშაულის დონის კვლევის თუ ძალადობის აღმოფხვრა/პრევენციის მიზნით;
- ინტერვიუირების პრაქტიკა, კონფიდენციალობის გარანტიები;
- მკვლევარის სწორად დატრენინგება, ინტერვიუერისა და რესპონდენტის თავსებადობა;
- კვლევის ჩარჩო;
- გამოკითხვის ფორმატი (სატელეფონიო, საფოსტო, პირადი);
- დეფინიციების, მოვლენებისთვის სწორი სახელწოდების, ფორმატის გამოყენება;
- მოვლეთანა მიმართება გამოკითხულის გარდა სხვა პირვების, ოჯახის სხვა წევრების, მიმართ.

ოჯახური ძალადობის ზოგად კვლევასა და ოჯახური ძალადობის კონკრეტული მიმართულების კვლევას შორის არსებობს განსხვავება. განსხვავებულია კვლევების სტურქტურაც და კითხვარებიც, როდესაც მკვლევარს აინტერესებს ზოგადად ოჯახური ძალადობა ან კონრეტულად ბავშვთა მიმართ, ქალთა მიმართ ან ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა ოჯახში. გამოკითხვის სტრუქტურის აგებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი: პირველ რიგში, დრო. არსებობს დროის შეზღდუვა ინტერვიუირებისას. შესაბამისად, ზოგადი კვლევის შემთხვევაში ნიუანსებში ჩაღრმავება რთულდება. ვიწრო საკითხების კვლევისას უფრო მარტივია ძალადობის

[44] [44] საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, გვ. 21,22, http://www.parliament.ge/uploads/other/75/75669.pdf

მსხვერპლის გახსნა და მასთან კონრეტულ თემაზე საუბარი, ვიდრე ოჯახური ძალადობის სრული სპექტრის მოცვა. კვლევაში, რომელიც არ არის მიმართული კრიმინალის გამოსავლენად, ადამანები უფრო ღიად საუბრობენ ძალადობაზე, ვინაიდან მათი ნაამბობის სამართლებრივი შეფასება არ ხდება.

კვლევის მოცულობამ და მეთოდმა შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს  იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება ოჯახური ძალადობა, როგორი ქცევის მოდელებია გათვალისწინებული ან უგუგლებელყოფილი. უფლებადამცველებს, ძალადობის მსხვერპლთა მომსახურე პერსონალსა თუ კანონმდებლებს სხვადასხვა მიდგომა და მოთხოვნები აქვთ მსგავსი კვლევებისადმი.

ოჯახური, ყოფითი თუ სექსუალური ხასიათის ინცინდენტები განსხვავდება ერთმანეთისგან ბევრი მახასიათებლით. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევას შეიძლება სისხლის სამართლის კვლავიფიკაციაც მიენიჭოს. შესაბამისად, კონკრეტული შემთხვევა შესაძლოა მოხვდეს მედიკოსების, სამართალდამცველების, ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრების მონაცემთა ბაზებში. მსგავსი შემთხვევების აღრიცხვა მეტად მნიშვნელოვანია სრული სტატისტიკური სურათისთვის.

ოჯახური ძალადობა შეიძლება განოხორციელდეს ბევრნაირ გარემოში, კერძო სახლში ან საერთო კორპუსში, სადაც შესაძლოა, მოძალადემ სხვა ადამიანებსაც შეუქმნას საფრთხე. შესაბამისად, მონაცემთა შეგროვებისთვის მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი თვითმხილველის, პროცესში ჩართული ადამიანის ინტერვიუირება.

ძალადობის კვლევის საერთაშორისო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი საკითხია არსებული მონაცემების გამოყენება. შეგროვილი სტატისტიკური მონაცემები სწორად უნდა იქნას შერჩეული ამა თუ იმ შემთხვევაში გამოყენებამდე. მონაცემები უნდა იყოს ხარისხიანი და შეესაბამებოდეს იმ მიზნებს, რომელთათვისაც საჭიროა აღნიშნული სტატისტიკის გამოყენება, ვინაიდან ერთი სახის ინფორმაცია სასარგებლოა კონკრეტული მიზნებისთვის და უსარგებლოა სხვა შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც საერთო ეროვნული სტატისტიკის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ კონკრეტული რეგიონის მონაცემები არსებობს, აღნიშნული მონაცემები საკმარისია კონკრეტული რეგიონისთვის ძალადობის წინააღდეგ პოლიტიკის შესამუშავებლად. მეორეს მხრივ, ერთი რეგიონის მონაცემების განზოგადება მთელ ქვეყანაზე არასწორ

სურათს მოგვცემს და მათზე დაყრდნობით შემუშავებული ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის სახელმწიფო პოლიტიკა არ იქნება ქმედითი.

## 2.2 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია

კვლევის ახალი მეთოდები, რომელთაც ცივილიზებული სამყარო იყენებს ბევრად ეფექტურია. კანადაში ჩატარებული კლვევის მიხედვით, ოჯახური ძალადობის ძირითადი ფორმა აღნიშნულ ქვეყანაში არის პარტნიორის, მეუღლის ოჯახის სხვა წევრის მხრიდან ქალების მიმართ ძალადობა. ოჯახური ძალადობის სტატისტიკის 51 % სწორედ აღნიშნული სახისაა. სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგია, რომლითაც ზემოთ მოყვანილი ფაქტი დადგინდა, დაინერგა ავსტრალიაში, ფინეთსა და ისლანდიაში. დანერგვის სტადიაშია შვეიცარიაში, გერმანიასა და ირლანდიაში.

ინტერვიუს მეორე სახეობა სტატისტიკური კვლევის აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავებულია ძალადობის იმ შემთხვევების გამოსავლენად, რომლთა შესახებაც არ ეცნობა სამართლადამცავ უწყებებს. მონაცემების შეკრება ხდებოდა მსხვერპლთა და სპეციალური დეწესებულებების ბენეფიციართა გამოკითხვით. შემუშავდა გამოკითხვის სამი სახეობა:

ოჯახური ძალადობის დანაშაულის საერთო ეროვნული აღრიცხვა: დანაშაულის საერთო ეროვნული კვლევა თანამედროვე ეპოქაში ბევრ ქვეყანაში ტარდება (მაგ. დიდი ბრიტანათი, აშშ, ავსტრალია და ა.შ.). მსგავსი კვლევის წარმოადგენლებს ხშირად ისეთი ოჯახური ძალადობის დანაშაულებების შესახებ აწვდიან მონაცემებს, რომლებიც პოლიციაში არ განუცხადებიათ. თვდაპირველად მსგავსი კვლევები არ იყო გათვლილი კონკრეტულად ოჯახური ძალადობის რომელიმე ასპექტზე ყურადღების გასამახვილებლად.

ინტრირებულია უშუალოდ ოჯახურ ძალადობაზე. მსგავსი ინტერვიუს დროს ოჯახური ძალადობის უმცირეს დეტალებზეც კი ხდება ხაზგასმა. აშშ-ში ორჯერ 1975 და 1985 წლებში (Straus and Gelles 1990) ჩატარდა ოჯახური ძალადობის ეროვნული

კვლევა. ამ კვლევამ გამოავლინა ოჯახური ძალადობის ბევრად უფრო ფართო მასშტაბი და სიღრმე, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა.

კვლევის მესამე სახეობას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა. აღნიშნული კლევის მიზანი იყო ქალთა მიმართ ძალადობის ყოფითი საფუძვლების გამოკვლევა. კვლევა ყურადღებას ამახვილებდა ქალების გაუპატიურებასა და სექსუალური სახის ძალადობაზე, ასევე, მიყურადებასა და თვალთვალზე. ქალთა მიმართ ძალადობის საერთო ეროვნული კვლევა პირველად გამოიყენეს კანადაში 1990-იან წლებში, ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკის შესწავლისთვის განხორციელებული კვლევის ფარგლებში. კვლევის ეს სახეობა ფართოდ აღიარებულია ბევრ ქვეყანაში. ამ კვლევის თანახმად, კანადაში გამოკითხულ ქალთა 51% ძალადობის მსხვერპლი იყო.

აღნიშნული საერთო ეროვნული კვლევების გარდა მსოფლიოში შედარებით მცირე ზომის, [45]ნაკლებად მასშტაბურ კვლევებასც მიამრთავენ ხოლმე ოჯახური ძალაობის საკვლევად. ეს შედარებით ნაკლებად მასშტაბური კვლევები არანაკლებ მნიშვნლოევან როლს თამაშობს ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღმოფრხვრის პოლიტიკის შემუშავებასა თუ იმპლემენტაციაში. მსგავსი კვლევებიც არანაკლებ სანდოა, ვიდრე საერთო ეროვნული კვლევები[46]. მაგალითად, ინგლისში, პეინტერმა (1991) ოჯახურ წყვილებს შორის გაუპატიურების საკითხის კლვევისას აღმოაჩინა, რომ ქალების 24% გაუპატიურების მსხვერპლია, 14% მეუღლის მხრიდან, 13 % კი სხვა მამაკაცის მხრიდა (ერხელ ან მეტჯერ). აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა 1007 ბრიტანელმა ქალბატონმა მიიღო. მუნიმ (1994) წ. დაადგინა, რომ ქალების 30% ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ყოფითი ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. კვლევა ჩატარდა ისლინგტოში და გამოიკითხა 535 ქალი. ორივე კვლევაში ძალადობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია ინტერვიუს სპეციალიზებული მეთოდით, რომელშიც კითხვები ორიენტირებულია ძალადობის სახეების დეტალიზაციაზე და არ არის მიმართული კრიმინალის გამოვლენისკენ. თუმცა, რთულია მსგავსი კვლევების

[45] Walby S., Myhill A., New Survey Methodologies In Reserching Violence Against Women, 2011.
[46] Walby S., Myhill A., New Survey Methodologies In Reserching Violence Against Women, 2011.

განზოგადება საერთო ეროვნულ მასშტაბზე, ვინაიდან გასათვალისწინებელია კვლევების მცირე მასშტაბი და შერჩების პრინციპები[47].

ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაცია და სტატისტიკა პოტენციურად რამდენიმე წყაროსგანაა ხელმისაწვდომი. ეს წყაროებია: ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურეობის სამსახურები, სოციალური სამსახურები, იურიდიული დამხარების ცენტრები, კვლევითი ცენტრები და დოკუმენტები, ასევე, სამსახურები, რომლებიც ორიენტირებული არიან ქალთა, ბავშვთა და ხანდაზმულთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებაზე, საელმწიფო ან კერძო თავშესაფრები, სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების მსხვერპლთა ფისქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები, კრიზისული სატელეფონო ცხელი ხაზები. ამ ორგანიზაციების უმეტესობა აღჭურვილია სპეციალური უფლებამოსილებით, მყისიერი რეაგირება მოახდინონ ძალადობის ყველა ფორმაზე. მათ შეუძლიათ შეაგროვონ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა შესახებ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად და ეს ჩანაწერები წარმოადგენენ ადმინისტრაციული ჩანაწერების კატეგორიას.

სტატისტიკა, რომელიც შემუშავებულია ადმინსიტრაციული ჩანაწერების საფუძველზე სანდოობის მხრივ დასაფიქრებელია, ვინაიდან დამოკიდებულია კონკრეტული მოხელის კეთილსიდინსიერებაზე, რომელმაც აღრიცხა ძალადობის მსხვერპლის მონაცემები.

ცნობილია, რომ ადმინისტრაციული ჩანაწერებით მიღებული მონაცემები მწირია, ვინაიდან ამ ჩანაწერებში ვერ ნახავთ ძალადობის დეტალურ აღწერას, ვინაიდან მოძალადე ოჯახის წევრია. გარდა ამისა, ძალადობის ის ფაქტები, რომელიც მსგავს ორგანიზაციებამდე აღწევს, ყველაზე სასტიკია, განსაკუთრებით ეს ეხება სოციალურად გაჭირვებულ ჯგუფებს. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული ჩანაწერები მნიშვნელოვანი წყაროა, როგორც საზოგადოების რეაქცია ძალადობაზე, მსხვერპლის მიმართ გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

ადმინისტრაციული წყაროების გარდა ოჯახური ძალდობის კვლევისთვის ერთობ მნიშვნელოვანია გამოკვლევები, რომლებიც ტარდება ანონიმურად სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით. მაგალითად, ძალადობის მსხვერპლმა, შესაძლოა,

[47] Walby S., Myhill A., New Survey Methodologies In Reserching Violence Against Women, 2011.

ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ანონიმურად გარკვეული ჩატის მომხმარებლებს, რათა მათგან მიიღოს რჩევები, ფსიქოლოგიური დახმარება და ა.შ. მსგავსი კვლევის საშუალებით შესაძლებელი ხდება ისეთი ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღება, რომლებზეც შესაბამისი სტრუქტურები არ არიან ინფორმირებული.

ოჯახური ძალადობის კვლევის კიდევ ერთი აუცილებელი რესურსია ინტერვიუირება. ძალადობის ნებისმიერი ფორმის კვლევისთვის ოქროს წესია რესპონდენტისთვის კითხვის პირდაპირ დასმა. კითხვა უნდა ეხებოდეს დროის კონკრეტულ მონაკვეთში მის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ნებიმისერ ფრომას, ვინაიდაინ ზოგადი კითხვარით ძალადობის ფაქტების დადგენა შეუძლებელია. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ ძალადობის აქტს. [48]

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ოჯახური  და ქალთა მიმართ ძალადობის რეგიონული კვლევის აღწერილობაში ნათქვამია, რომ მნიშვენლოვანია ძალადობის კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე. არის ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ძალადობა. კვლევისთვის არსებითად მნიშვნელოვანი არ არის ცხოვრობს თუ არა მსხვერპლი მოძალადესთან ერთად ინტერვიუირების პერიოდში. თუმცა, ძალადობის ფორმის განასზღვრა აუცილებელია, რათა შერჩეულ იქნას შესაბამისი, სპეციფიკური კითხვები. მკვლევარის მიერ სწორად შერჩეული კითხვვები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ რამდენად მძიმე ძალადობასთან გვაქვს საქმე, დაწყებული ხელის კვრით და დამთავრებული გაგუდვის და დაწვის მცდელობით. ფისქოლიგიური ძალადობის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს, რა ტიპის მუქარასთან გვაქვს საქმე. კონფლიქტური ტაქტიკის შკალას (CTS)  აქტიურად იყენებენ მთელს მსოფლიოში, რათა შკალის შესაბამისად მოხდეს განსაზღვრა რამდენად მძიმე ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობასთან გვაქვს საქმე. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევები, რომლებიც ეხება ოჯახურ ძალადობას, გენდერულ საკითხებს და ბავშვთა მიმართ ძალადობას, ძირითადად აღნიშნულ

[48]Global and regional estimates of violence against women:https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85239/9789241564625_eng.pdf;jsessionid=71CF1224A9DC540DA9F1E48FD55E84DF?sequence=1

შკალასთანაა ადაპტირებული. კონფლიქტის შკალით ხდება ძალადობის ფორმებისთვის გრადაციის მინიჭება[49].

სირთულეს კი ქმნის ოჯახური ძალადობის საკითხებში ჩართული სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ კლასიფიკაციისა და მონაცემთა შეგროვება/დამუშავების განსხვავებული სისტემებით სარგებლობა. გარდა ამისა, შესაძლოა, ძალადობის მსხვერპლმა მიიღო სამედიცინო ან სხვა სახის დახმარება, მაგრამ ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაცია დამალა.

მიუხედავად ამისა, გამოკითხვები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ მნიშვნელოვანი რესურსია, ვინაიდან მსგავსი ტიპის გამოკითხვები ყოველთვის მორგებულია მსხვერპლზე, არ ხდება მასზე ზეწოლა ინფორმაციის მისაღებად, მეტიც, ყველაფერი დამოკოდებულია მსხვერპლის სურვილზე, გაიხსნას და ისაუბროს პრობლემებზე. ასეთი კვლევების დროს რესპონდენტები, როგორც წესი ბოლომდე გულწრფელები არიან.

მთავარ სირთულეს კი სტატისტიკური კვლევებისთვის წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, მნიშვლოევანი გამოწვევებია:

- სწორი ფორმულირება პრობლემის არსის, ტერმონოლოგიის, ცნებისა და მონაცემთა ელემენტების, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახური ძალადობის განმსაზღვრელ ფაქტორებს;
- სწორად იქნას გაგებული იურიდიული და საკანონმდელბლო ელემენტები; ასევე, მონაცემთა წარმოდგენა მომხმარებლების განსხვავებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, სახელმწიფო სტრუქტურებს სწორად შერჩეული სტატისტიკური მონაცემები უნდა მიეწოდოთ, რათა შეძლონ ძალადობის პოლიტიკის განსაზღვრა და დანერგვა;
- სპეციფიკურ მონაცემთა განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია მეთოდოლოგიური ნიუანსების გათვალისწინება.

[49]Global and regional estimates of violence against women:https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85239/9789241564625_eng.pdf;jsessionid=71CF1224A9DC540DA9F1E48FD55E84DF?sequence=1

ოჯახური ძალადობის კვლევა დისციპლინათშორისი ხასიათის საკითხია და მის შესასწავლად მრავალგვარი ხერხი გამოიყენება. კონკრეტული ინციდენტის შესახებ მონაწილე მხარეების გამოკითხვისას მათმა პირადმა ემოციებმა და დამოკიდებულებებმა შესაძლოა სურათი დაამახინჯოს. ამიტომაც აუცილებელია ინციდენტის კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ის.

ოჯახური ძალადობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

**საჩივრების ნაკლებობა:** [50]

ძალადობის ბევრი შემთხვევის შესახებ არ ხდება სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება, შესაბამისად, ასეთი შემთხვევების აღრიცხვა და საერთო სტატისტიკურ მოაცემებში გათვალისწინება ფაქტობრივად შეუძლებელია.

**ნაწილობრივი ინფორმირება**

ნაწილობრივი ინფორმირება ხდება, როდესაც ძალადობის მსხვერპლი მიმართავს დახმარებისთვის შესაბამის უწყებებს, მაგრამ მოძალადის იდენტიფიცირებისგან ან ოჯახურ ძალადობაზე საუბრისგან თავს იკავებს.

**აღრიცხვიანობის ნაკლებობა:**

ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ტექნიკური და პროცედურული ხარვეზები ხელიუფლების წარმომადგენლების მხრიდან ფაქტის აღრიცხვის შემთხვევაში. ასევე, შესაძლოა, რომ ძალადობის არასწორი კლასიფიკაცია მოხდეს.

**აღრიცხვის წესების დაცვა:**

ზოგიერთ ქვეყანაში ოჯახურ ძალადობად შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა სახის დავები ნათესავებსა და ერთი ოჯახის წევრებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებლის ზრდა. მაგალითად, ამერიკის გარკვეულ შტატებში ადევნებაც ოჯახური ძალადობის კლასიფიკაციაში შედის. მსგავსი დანაშაულების ხარჯზე იზრდება აღნიშნულ შტატებში ოჯახური ძალადობის სტატისტიკა.

ბარიერები ოჯახური ძალადობის აღრიცხვიანობისთვის:

[50] STATISTICAL CHALLENGES, https://www.abs.gov.au/ausstats/abs@.nsf/Lookup/4529.0main+features192013

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გარდა, ოჯახური ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვებას შესაძლოა ხელი შეუშალოს მსხვერპლთა მხრიდან ინფორმაციის დამალვამაც. ხშირ შემთხვევაში ძალადობის ფაქტის დასამალად მსხვერპლი დახმარებასაც არ ითხოვს, რასაც შესაძლოა უამრავი მიზეზი ჰქონდეს. მათ შორის:

- შურისძიების შიში;
- მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება;
- ოჯახის მცირეწლოვანი ან ასაკოვანი წევრები, რომლებიც აღნიშნული ოჯახის დანგრევით დაზარალდებიან;
- სირცხვილი;
- შიში, რომ არ დაუჯერებენ;
- შიში, ინფორმაციის არქონა შესაბამისი იურიდიული მომსახურეობის შესახებ;
- წარსული გამოცდილება;
- კუტურული თუ რეგლიგიური რწმენები და შეხედულებები;
- მოძალადის მიმართ შიში;
- დახმაერბის ცენტრების ხელმიუწვდომლობა კულტურული, ასაკობრივი თუ ენობრივი ბარიერების გამო;
- დაზარალებული შესაძლოა არ ფლობდეს ინფრომაციას იმის შესახებ, რომ უფლება აქვს იყოს დაცული ოჯახური ძალადობისგან.

გარდა ამისა, ძალადობის მსხვერპლმა დახმარებისთვის მიმართვისგან შესაძლოა თავი შეიკავოს, რადგან თვლის, რომ:

- ძალადობის ფაქტი უმნიშვნელო იყო, რათა პოლიციას აცნობს;
- არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მსგავსი მოპყრობა ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობაა;
- აქვს სურვილი ეს საკითხი დატოვოს საიდულოდ და თავად მოაგვაროს;
- ვალდებულია ოჯახის სხვა წევრების უსაფრთხოებაზე იზრუნოს;
- აქვს ნეგატიური გამოცდილება დახმარების თხოვნის, როდესაც შესაბამისმა სტრუქტურებმა გულგრილობა გამოიჩინეს.

ამასთან, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ისიც, რომ მსხვერპლი ძალადობის ყველა შემთხვევის შესახებ არ აკეთებს განცხადებას. გარდა ამისა, კვლევისას არსებობს მეთოდოლოგიური ხარვეზები, რომლებიც ცდომილების შესაძლებლობას ზრდის კვლევის დროს.

# თავი III. ოჯახური ძალადობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში

## 3.1 ოჯახური ძალადობის სტატისტიკური კვლევა საქართველოში

საქართველოში ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მყარი ტრადიციული სტერეოტიპები. სწორედ ეს სტერეოტიპები წარმოადგენს სტატისტიკური კვლევისთვის დაბრკოლებასაც, ვინაიდან „ოჯხური კონფლიქტის და პრობლემის გარეთ გამოტანა“ პრობლემად ითვლება.

დასაწყის ეტაპზე ოჯახში ძალადობის ტერმინი მხოლოდ ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას გულისხმობდა, მაგრამ ახლა მამაკაცების წინააღმდეგ ძალადობასაც მოიაზრებს, თუმცა, დასავლეთის ქვეყნების სტატისტიკური მონაცემებით ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა შორის 13-ჯერ უფრო ხშირად დაზარალებულები სწორედ ქალები გვხვდებიან. აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ცნობებით, ძალადობის ფაქტების 21%25 ინტიმური პარტნიორის მიერაა ჩადენილი. მოკლულ ქალთა 20% ქმრის, ან საყვარლის მოკლულია. 10 მილიონი ქალიდან 3 მილიონი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია.[51]

გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში ყოველწლიურად ატარებს ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობის კვლევას. აღნიშნული კვლევები ცხადყოფს, რომ ქალები მთელი ქვეყნის მასშტაბით განიცდიან ძალადობას ოჯახის წევრების მხრიდან. კვლევა ტარდება გაეროს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ორგანიზაცია კვლევისთვის იყენებს შერეულ მეთოდოლოგიას, რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას. კვლევისთვის გამოყენებულია უახლესი მეთოდოლოგიები, რომლებიც ავსებს ერთმანეთს, რათა მივიღოთ ერთიანი სურათი ოჯახური და გენდერული ძალადობის შესახებ. გაეროს ქალთა ორგანიზაცია აწარმოებს მულტისახელმწიფოებრივ კვლევებს. კვლევის საფუძველს სწორედ ამ ქვეყნებში ჩატარებული რაოდენობერივი გამოკითხვის შედეგები წარმოადგენს. კვლევისთვის სექსუალური ძალადობისა და თვალთავალის ნაწილი აღებულია ადამიანის ძირითად

[51] წიგნის დახურვა სოციოლოგიური კვლევები გენდერის სფეროში http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.8&d=HASH3e75929bb955ff3951860e.20&gt=1

უფლებათა კავშირის კვლევითი სააგნეტოს (FRA) მონაცემებიდან. ბავშვობის დროინდელი ტრავმებისა და გენდერული საკითხების კვლევა ტარდება გაეროს მიერ.

კვლევის მეთოდოლოგიას რაც შეეხება, ხდება მოსახლეობის კვლევა, გამოკითხვა/ინტერვიუირება, რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი.

მოსახლეობის რაოდენობრივი კვლევა ძალადობის კონტექსტში ტარდება, რათა არსებობდეს უტყუარი მაჩვენებლები ეროვნული, რეგიონული და ქალაქის მასშტაბით. გამოკითხვა ტარდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მთელ ტერიტორიაზე და სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ქალები და მამაკაცები 15-დან 64 წლამდე.

გამოკითხვისთვის გამოყენებული ანკეტები მუშავდება თანამედროვე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, სტანდარტებისა და კვლევის ეთიკის შესაბამისად. ანკეტა ძირითადად ორიენტირებულია ისეთი საკითხების კვლევაზე, როგორიცაა: ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელების დონე; უცხო პირის მხრიდან სექსუალური ძალადობის დონის განსაზღვრა; ოჯახის წევრთა მხრიდან სექსუალური ძალადობის დონის განსაზღვრა; არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა არასრულწლოვანთა მიმართ; ძალადობის შედეგები მსხვერპლის ფიზკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე; მსხვერპლთა მომსახურეობის შესახებ ინფორმაციის ფლობა და აღნიშნული სერვისებით სარგებლობა; გენდერული ურთიერთობები და ინფორმირებულობა ამ საკითხზე.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ საქართველოში ჩატარებული 2017 წლის სტატისტიკური კვლევისთვის საბაზისო მონაცემად აღებულია 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. კვლევა მთელს საქართველოში 181-მა მკვლევარმა პირადი ინტერვიუს საშუალებით ჩააატარა. საერთო ჯამში გამოიკითხა 15-64 წლამდე 6006 ქალი და 1061 მამაკაცი.

დიაგრამა 4

ოჯახური ძალადობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით




წყარო:ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017,

გრაფიკზე მოცემულია ქალების (ვისაც ოდესმე ჰყოლია პარტნიორი) პროცენტული წილი ვინც განაცხადა IPV-ის (ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა) შესახებ, რეგიონების მიხედვით.

ამ კვლევის თანახმად, 15-64 წლის ასაკის ყოველი 7 ქალიდან 1 ოჯახის წევრის, მეუღლის, სექსუალური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლია. [52]

[52] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017, file:///C:/Users/l.nonikashvili/Downloads/National%20VAW%20Study%20Report%20Geo.pdf

დიაგრამა 5

15-64 წლის ასაკის ქალთა პროცენტული წილი, ვისაც ოდესმე გამოუცდია სექსუალური ძალადობა არა-პარტნიორის მხრიდან, სექსუალური ძალადობა ბავშვობის დროს, ადევნება ან სექსუალური შევიწროება




წყარო:ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.

ქალთა 3.5%-მა განაცხადა, რომ მათ ადევნების სხვადასხვა ფორმა გამოუცდიათ ცხოვრების მანძილზე, ხოლო 3.3%-ს - გასული 12 თვის განმავლობაში. ადევნების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი ტექსტური შეტყობინებები (SMS) ან ელექტრონული წერილები (2%), უმიზეზო ლოდინი ან ადევნება (1%) და შეურაცხმყოფელი, მუქარანარევი ან უხმო სატელეფონო ზარები (1%).

გამოკითხული ქალების 26,2% ადასტურებს, რომ უცხო ფეხმძიმობა დადგა სექსუალური ძალადობის შედეგად, რაც ერთობ საგანგაშო მაჩვენებელია.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკის კვლევისას აუცილებელია ბავშვთა მიმართ ძალადობის სტატისტიკაზე ყურადღების გამახვილება. Unicef და USAID ერთობვლივმა კვლევამ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ საგანგაშო მონაცემები აჩვენა.

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თითქმის 60% მიიჩნევს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო ეფექტურია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებით აღზრდა. [53]

გამოკითხულთა უმეტესობა ასევე მიიჩნევს, რომ ბავშვის აღზრდის მეთოდები მშობლების და ოჯახის შესარჩევია და ოჯახური ძალადობა ეს ოჯახის შიდა საქმეა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა მიამრთ ძალადობის კვლევის მეთოდოლოგია.

კითხვარი, რომლითაც მოხდა საკითხის სტატისტიკური შესწავლა მომზადდა UNICEF–ის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ, ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ სხვადასხვა კვლევაში გამოყენებული საშუალებების საფუძველზე.

მთლიანად კვლევა მოიცავდა თბილისსა და 10 რეგიონს (საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი). კვლევის სამიზნე სეგმენტი იყო საქართველოს 18 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა.[54]

კვლევისთვის შერჩევა მოხდა ორეტაპიანი კლასტერული შერჩევით, წინასწარი სტრატიფიკაციით, რეგიონის, ეთნიკურობისა და დასახლების ტიპის მიხედვით. შერჩევაში გამოყენებული იყო ორეტაპიანი კლასტერიზაცია. პირველადი შერჩევის ერთეული (PSU) იყო საყოველთაო აღწერის ერთეული, ხოლო მეორადი შერჩევის ერთეული (SSU) – ოჯახი. პირველადი შერჩევის ყოველ ერთეულში გამოიკითხა ათი რესპონდენტი, მეორადი შერჩევის ყოველ ერთეულში კი – ერთი რესპონდენტი. ოჯახების შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით. ოჯახიდან რესპონდენტი შეირჩა იმის მიხედვით, ვისაც ბოლოს ჰქონდა დაბადების დღე.[55]

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა რესპონდენტების რაოდენობის დათვლა მათი ეთნიკური კითვნილების გათვალისწინებით. მეორე ეტაპზე კი შერჩევა მოხდა ეთნიკურ ჯგუფებში რესპონდენტების რაოდენობის მიხედვით.

კვლევის სანდოობის და ხარისხიანად ჩატარებისთვის მნიშვნელოვანია ინტერვიუერების გათვითცნობიერება კვლევის მიზნებსა და მეთოდოლოგიაში. ამდენად, აღნიშნული კვლევისთვის ინტერვიუერებმა გაიარეს ორეტაპიანი ტრენინგი.

---

[53] ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში 2013 https://www.unicef.org/georgia/media/2066/file
[54]ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში 2013 https://www.unicef.org/georgia/media/2066/file
[55] ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში 2013 https://www.unicef.org/georgia/media/2066/file

აღნიშნული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ შემთხვევათა 44% დასტურდება ბავშვთა მიმართ ძალადობა.

როდესაც საქმე ეხება არასრულწოვანთა მიმართ სექსუალურ ძალადობას, საქართველოს მოსახლეობის 90%-ზე მეტს არ სჯერა, რომ სექსუალური მოძალადე შეიძლება იყოს ბავშვის მშობელი, ოჯახის რომელიმე წევრი ან ნათესავი. [56]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით კი, 2-14 წლის ბავშვთა 20 % საქართველოში ოჯახური ძალადობის მსხვერლია. მათ ფიზკურად სცემენ და ამას უმეტესად მამები აკეთებენ. [57]

ბავშვების უმრავლესობას, რომლებმაც ფიზიკური ძალადობა განიცადეს, მხოლოდ ზედაპირული დაზიანებები აღენიშნებათ, თუმცა, ძალადობის გავლენა უფრო ღრმაა. ბავშვებს უვითარდებათ შიში, შფოთვა, აგრესია, ქცევის უკიდურესი სისასტიკე, რაც ძირითადად მათი საპასუხო რეაქციაა განცდილი ძალადობის გამო. ხშირად ბავშვი იაზრებს, რომ ძალადობისგან თავის დაღწევა არ შეუძლია, იგი მოძალადეზეა დამოკიდებული და ვერსად წავა. შესაბამისად, მისი რეაქცია ან უკიდურეს მორჩილებაში ან სასტიკ ქცევაში გამოიხატება. ერთიც და მეორეც ერთნაირად საშიშია ბავშვის განვითარებისთვის.[58]

სტატისტიკიური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკა საქართველოში იზრდება. 2018 წლის სტატისტიკის თანახმად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობამ 6893 მიაღწია, რაც 68%–ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2016 წელს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი 2966 ადამიანი გახდა. 2014 წელს კი ოჯახური ძალადობის მსხვერპლად 829 ადამიანი იყო იდენტიფიცირებული. 2008-2018 წლებში მსხვერპლთა საშუალოწლიური ზრდის ტემპი შეადგენს 143%, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ოჯახური

[56] https://www.unicef.org/georgia/media/2066/file

[57] ბავშვის მიმართ ძალადობა საჭიროებების კვლევა, საია https://gyla.ge/files/banners/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf

[58] ბავშვის მიმართ ძალადობა საჭიროებების კვლევა, საია https://gyla.ge/files/banners/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf

ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 43%–ით იზრდებოდა.59

დიაგრამა 6

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა 2008–2018 წლებში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, სულ 2018 წ. პერიოდში ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოცემული იქნა 7646 შემაკავებელი ორდერი, მათში მონაწილე 13518 პირით.

[59] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 7




წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების (შემაკავებელი ორდერი) რაოდენობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება; 2018 წელს ოჯახური ძალადობის ფაქტების რაოდენობა 75%–თ არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2015 წელთან შედარებით კი – თითქმის გასამმაგებულია ოჯახში ძალადობის ფაქტზე გაცემული ორდერების რაოდენობა.

დიაგრამა 8




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წლის მონაცემების მიხედვით, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობამ 6893 მიღწია, რაც 68%–ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ჩვენ მიერ მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ოჯახური ძალადობის შემთხვევები იზრდება. 2018 წლს ოჯახური ძალადობის სტატისტიკა 71%-ით არის გაზრდილი 2017 წელთან შედარებით. 2017 წლის მონაცმები ასევე, გაზრდილია 40%-ით გასული წლის მონაცემებთან შედარებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები – 5671, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 954–ს.

დიაგრამა 9

ოჯახში მოძალადე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი შეფარდება (შემაკავებელი ორდერების მიხედვით) 2018 წელი




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტების განხილვისას აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ძირითადად ქალები არიან. 2018 წელს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 5875 ქალი და 1018 მამაკაცი.

დიაგრამა 10

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი შეფარდება (შემაკავებელი ორდერების მიხედვით) 2018 წელი




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ოჯახში ძალადობის სახეებიდან საქართველოში სჭარბობს ფიზიკური (1705) და ფსიქოლოგიური ძალადობა (7109). 2018 წლის მონაცემებით ოჯახური ძალადობის შემთხვევათა დიდი უმეტესობა 77 % საქართველოში ფსიქოლოგიური ხასიათისაა, ფიზიკური ძალადობის შემთხვევები კი 19% შეადგენს. აღნიშნული ტენდენცია უცვლელია 2015-2018 წლებში, თუმცა, 2018 წელს, ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 15 პროცენტული პუნქტით, ფიზიკური ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა კი შემცირებულია 10 პროცენტული პუნქტით.

დიაგრამა 11

ოჯახური ძალადობის სახეები საქართველოში, 2018 წ.




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ცხრილი 1

ოჯახში ძალადობის სახეები საქართველოში

| | ფსიქოლოგიური | ფიზიკური | ეკონომიკური | სექსუალური | იძულება | უგულებელყოფა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2018 | 7109 | 1705 | 198 | 25 | 74 | 68 |
| 2015 | 2556 | 1208 | 146 | 19 | 143 | 70 |

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოში ოჯახური ძალადობის ასაკობრივ სტატისტიკაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოძალადე მამაკაცებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 25–44 წლის ასაკობრივ შუალედში, ქალების შემთხვევაში კი 45 წელს ზემოთ შუალედში. მსხვერპლ მამაკაცებში ყველაზე დიდი წილი 45 წლის ზღვარს ზემოთ მყოფებზე მოდის, ხოლო მსხვერპლ ქალებში კი – 25–44 წლის ასაკობრივ შუალედში. ყველაზე ცოტა ოჯახში ძალადობის ჩამდენი 17 წლამდე ასაკისაა. იგივე ტენდენცია ნარჩუნდება ბოლო ათი წლის განმავლობაში, თუმცა, არასრულწლოვან მსხვერპლთა რაოდენობა 2008 წელთან შედარებით გაზრდილია 4 პროცენტული პუნქტით.

დიაგრამა12




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 13

ოჯახში მოძალადე მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება, 2018 წელი




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დიაგრამა 14

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივი განაწილება, 2018 წელი




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მეტი ოჯახში ძალადობის ფაქტი ფიქსირდება თბილისში (3182), ყველაზე ცოტა გურიაში (59 ფაქტი). აღსანიშნავია, რომ 2008 წელთან შედარებით, თბილისში დაფიქსირებულ ოჯახურ ძალადობათა რაოდენობა შემცირებულია 37 პროცენტული პუნქტით და გაზრდილია რეგიონებში აღრიცხულ ოჯახურ ძალადობათა პროცენტული წილი.

დიაგრამა 15

მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ რეგიონულ ჭრილში 2018 წელს, კაცი




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ეკონომიკური ძალადობაა. ამგვარი ძალადობა საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებულია როგორც ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას. [60]

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) 2015 წლის მონცემებით, ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოში ქალების საშუალო ანაზღაურება 318 ლარით ნაკლებია მამაკაცის მინიმალურ შემოსავალზე. ქალის ხელფასი მამაკაცისაზე დაახლეობით 39%-ით ნაკლებია. ამავე კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 52% ფიქრობს, რომ ქალს ვერ იქნება ისეთივე წარმატებული კარიერა, როგორც მამაკაცს, რადგან ოჯახის გამო დიდ დროს ვერ დაუთმობს მან ოჯახს დიდი დრო უნდა დაუთმოს. 74% კი იზიარებს აზრს, ქალი მეტადაა დასაფასებელი, როდესაც მას კარგი, მყარი და ღირსეული ოჯახი აქვს. მიუხედავად ამისა, ქალების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დასაქმება საუკეთესო საშუალებაა, რათა თავი დამოუკიდებელ პიროვნებად იგრძნონ (UNDP, 2013. რესპონდენტების 77%, მათ შორის 85% ქალი). გამოკითხული ქალების 52%-ის თქმით, მათ არ აქვთ შემოსავალი. ქალს მამაკაცის მსგავსი ან მეტი შემოსავალი აქვს 24% შემთხვევებში. 18%-კაცს აქვს მეტი შემოსავალი, 6% - კაცს არ აქვს შემოსავალი.[61]

მიუხედავად არაერთი საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირებისა, საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისა და დახვეწისა, არაერთი საინფორმაციო კამპანიის განხორციელების ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, ძალადობის ფაქტები იზრდება. თუმცა, ასეთი ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს იმითაც, რომ გაზრდილია ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობა სამართალდამცავი უწყებების და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ორგანიზაციებისადმი.

[60] ეკონომიკური ძალადობა, როგორც ოჯახში ძალადობის ფორმა, https://lesbi.ge/ka/campaigns/16-days/i997/?fbclid=IwAR2rnmy0hTmF2-5jn3tNrkhGXKPWZtC_qshbokLP9C_tL-OIJbujy28gSmE

[61] ეკონომიკური ძალადობა, როგორც ოჯახში ძალადობის ფორმა, https://lesbi.ge/ka/campaigns/16-days/i997/?fbclid=IwAR2rnmy0hTmF2-5jn3tNrkhGXKPWZtC_qshbokLP9C_tL-OIJbujy28gSmE

## 3.2 ოჯახური ძალადობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი

ოჯახური ძალადობის სტატისტიკას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აწარმოებს. აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, შესაბამისი პოლიტიკისა და სტარტეგიის შესამუშავებლად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყოველ წუთს 20 ადამიანი ხდება ოჯახის წევრის ძალადობის მსხვერპლი. შესაბამისად, წელიწადში 10 მილიონზე მეტი ადამიანი ხდება ძალადობის მსხვერპლი.

1. ყოველი 4 ქალიდან 1 და 9 მამაკაციდან 1 ფიზიკური ძალადობის საკმაოდ სასტიკ ხერხს მიმართავს ოჯახის წევრის, სექსუალური პარტნიორის ან ნათესავის მიმართ. მსგავსი ძალადობის შედეგი ხდება უამრავი ტრავმა, შიში, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, ვენერიული დაავადებების გავრცელება და ა.შ.
2. 3-დან 1 ქალი და 4-დან 1 მამაკაცი ერთხელ მაინც გამხდარა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი.
3. 7-დან 1 ქალს და 25 მამაკაციდან 1 ცხოვრებაში ერთცელ მაინც მიუღია ფიზიკური ტრავმა ოჯახის წევრისგან.
4. 10 ქალიდან 1 ერთხელ მაინც გამხდარა ოჯახის წევრის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. მამაკაცების მიმართ მსგავსი ძალადობის შესახებ მონაცემები არ არის ხელიმისაწვდომი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ ჩვეულებრივ დღეს ოჯახური ძალადობის ცხელ ხაზზე 20 000-ზე მეტი ზარი შედის.[62]

ამერიკაში იარაღისადმი ხელმისაწვდომობა 500%-ით ზრდის ფემიციდისა და ჰომოციდის შესაძლებლობას.[63]

სექსუალური პარტნიორის მხრიდან ძალადობა სრული სტატისტიკის 15% შეადგენს. პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ძირითადად 18-დან 24 წლამდე ქალები არიან.

[62] https://nnedv.org/downloads/Census/DVCounts2013/DVCounts13_NatlSummary.pdf
[63] Risk Factors for Femicide in Abusive Relationships: Results From a Multisite Case Control Studyhttps://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1447915/

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახური ძალადობის დროს ჰომიციდის შემთხვევების 20% მოდის არა მეუღლის ან სექსუალური პარტნიორის მხრიდან ჩადენილ მკვლელობაზე, არამედ ოჯახის სხვა წევრების მშობლების, დედმამიშვილის, შვილების მხრიდან ჩადენილ მკვლელობაზე.

მკვლელობებისა და თვითმკველობების 72% დაკავშირებულია მეუღლეებთან, სექსუალურ პარტნიორებთან, ხოლო 94 % შემთხვევებში მსხვერპლი ქალები არიან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი მე-15 ბავშვი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, ამ ბავშვების 90% კი ძალადობის თვითმხილველია. [64]

ოჯახური ძალადობის კანადის[65] სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე ხშირი ამ ქვეყნაში ქალების მიმართ სექსუალური პარტნიორის ან მეუღლის მხრიდან ძალადობაა. აღრიცხული ოჯახური ძალადობის შემთხვევების 79 % სწორედ ქალის მიმართ პარტნიორის მხრიდან ძალადობას ეხება. კანადაში ჰომოციდის მსხვერპლი ქალების რაოდენობა 4-ჯერ აღემატება მამაკაცებისას.

აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ კანადაში ოჯახური ძალადობის ნებისმიერი შემთხვევის დროს პოლიციისა და შესაბამის უწყებებისადმი მიმართვიანობა ძალიან დაბალია, მაგალითად, 2014 წელს ოჯახური ძალადობის ყოველი 5 მსხვერპლიდან 1 მიმართავდა პოლიციას.

2017 წელს სექსუალური პარტნიორის მხრიდან ძალადობას თითქმის 96000 მსხვერპლი ჰყავდა(ასაკი15-89 წ ), მათგან უმეტესობა, 10-დან 8 ქალი იყო.

ამ ტიპის ძალადობის მაჩვენებელი 14%-ით შემცირდა 2009-2017 წლებში.მიუხედავად 1%-იანი ზრდისა 2016-2017 წლებს შორის. კლების მაჩვენებელი უფრო ნათელი იყო ქალებს შორის.

[64] NATIONAL STATISTICS https://ncadv.org/statistics

[65] Family violence in Canada: A statistical profile, 2017 https://www150.statcan.gc.ca/n1/pub/85-002-x/2018001/article/54978-eng.htm

დიაგრამა 16

სექსუალური და არა-სექსუალური პარტნიორების მხრიდან ჩადენილი ძალადობა კანადაში სქესობრივ ჭრილში, 2009-2017 წლები




წყარო: კანადის სტატისტიკის სამმართველო, კანადის იუსტიციის სტატისტიკის ცენტრი, ინციდენტებზე დაფუძნებული უნიფიცირებული დანაშაულების კვლევა, Trend–ის მონაცემთა ბაზა.

სექსუალური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლთა ასაკი ყველაზე ხშირად იყო 25-34, არასექსუალური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვეპლთა ასაკი კი 15-24.

2017 წელს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი 59,236 ბავშვი და მოზარდი გახდა. ნახევარზე მეტი მდედრობითი სქესის იყო (56%)

ძალადობის მსხვერპლთა ამ ასაკობრივ ჯგუფში ძალადობის 30% ხორციელდებოდა მშობლების, დედმამიშვილების და ოჯახის სხვა წევრების მიერ.

2009 წლიდან 2017 წლამდე ამ ჯგუფში ძალადობა შემცირდა 7%-ით, თუმცა უნდა ითქვას, რომ 2006 დან 2017 წლამდე მაჩვენებელმა იმატა 6%-ით.

დიაგრამა 17

ოჯახური და არა-ოჯახური ძალადობის ბავშვი და მოზარდი მსხვერპლი სქესობრივ ჭრილში, 2009-2017 წლები, კანადა




წყარო: კანადის სტატისტიკის სამმართველო, კანადის იუსტიციის სტატისტიკის ცენტრი, ინციდენტებზე დაფუძნებული უნიფიცირებული დანაშაულების კვლევა, Trend–ის მონაცემთა ბაზა.

ბავშვთა და მოზარდთა მიმართ განხორციელებული ძალადობის 56% იყო ფიზიკური ძალადობა, 32% კი სექსუალური ძალადობა.

2017 წელს 11380 ძალადობის ხანდაზმული მსხვერპლი იყო, აქედან მესამედი მოდიოდა (33%) მოდიოდა ძალადობაზე ოჯახის წევრის მხრიდან-შვილის, მეუღლის, დედმამიშვილის მხრიდან. ამ ასაკობრივ ჯგუფში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო ფიზიკური ძალადობა.

2009-2017 წლებში ხანდაზმულების წინააღმდეგ ოჯახური ძალადობის მაჩვენებელი 6%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 18

ოჯახური და არა ოჯახური ძალადობის ხანდაზმული მსხვერპლები სქესობრივ ჭრილში, 2009-2017 წლები




წყარო: კანადის სტატისტიკის სამმართველო, კანადის იუსტიციის სტატისტიკის ცენტრი, ინციდენტებზე დაფუძნებული უნიფიცირებული დანაშაულების კვლევა, Trend–ის მონაცემთა ბაზა.

ინგლისისა და უელსის ოჯახური ძალადობის 2017-2018 წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2 მილიონი ზრდასრული, 16-59 წლის ადამიანი გახდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი (მათგან, 1, 3 მილიონი იყო ქალი, 695 ათასი კი მამაკაცი).

2018 წელს პოლიციამ 559549 ოჯახური ძალადობის შემთხვევა დააფიქსირა, რაც 23% აღემატება წინა წლის მონაცემებს. 2017 წელს დაფიქსირებული ოჯახური ძალადობის ფაქტები ასევე აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 16%-ით. ასეთი მნიშვნელოვანი ზრდის ერთ-ერთ მიზეზად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ პოლიციელებმა გააუმჯობესეს ოჯახური ძალადობის აღრიცხვისა და კლასიფიკაციის ხარისხი.

პოლიციამ ოჯახური ძალადობის გამო 225 714 მოქალაქე დააპატიმრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურად აღრიცხული 100 დანაშაულიდან 38 ოჯახური ძალადობაა.

2018 წელს ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შემთხვევა იყო. 76 % სწორედ ეს ბრალდება წარედგინა. [66]

თუკი ერთმანეთს შვადარებთ საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს მონაცემებს, ვნახავთ, რომ გაერთიანებულ სამეფოშიც, ისევე როგორც საქართველოში, ბოლო წლებში იზრდება ოჯახური ძალადობის ფაქტები.

დიაგრამა 19

გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების რაოდენობა 2015-2018 წლებში




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაერთიანებული სამეფოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 2

გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების რაოდენობათა მატების ტემპები 2015-2018 წლებში

| | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|
| საქართველო | 13% | 41% | 75% |
| გაერთიანებული სამეფო | 19% | 16% | 23% |

[66] https://www.ons.gov.uk/peoplepopulationandcommunity/crimeandjustice/bulletins/domesticabuseinenglandandwales/yearendingmarch2017https://www.ons.gov.uk/peoplepopulationandcommunity/crimeandjustice/bulletins/domesticabuseinenglandandwales/yearendingmarch2017

2015-2018 წლებში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტთა საშუალოწლიური ზრდის ტემპი საქართველოსთვის შეადგენს 141%-ს, შესაბამისად, 2015 წლიდან 2018 წლამდე საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტები ყოველწლიურად საშუალოდ 41%-ით იზრდებოდა; იგივე მაჩვენებელი დიდი ბრიტანეთისთის 119%-ს შეადგენს, ამ ქვეყანაში 2015-2018 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 19%-ით იზრდებოდა ოჯახური ძალადობის ფაქტები.

2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, ქალების მიერ განცხადებული ძალადობის მაჩვენებლები საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე მთელს ევროპაში.[67] თუ გადავხედავთ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებს, უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდ ბრიტანეთში ქალთა მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის 29% დაფიქსირდა. აღნიშნული ქალების ასაკი 18-74 წელს შეადგენს.[68] იგივე მაჩვენებელი კი საქართველოს მოსახლეობის 15-64 წლის ქალთათვის 6%-ს შეადგენს.[69]

ჩვენთვის, როგორც პოსტ საბჭოთა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სტატისტიკა.

მეზობელ სომხეთში 2018 წელს ოჯახური ძალადობის ფაქტებზე 519 საქმე აღიძრა. ეს რიცხვი 2017 წელს 458 შეადგენდა.

193 შემთხვევაში მეუღლეები ძალადობდნენ ცოლებზე, 40 შემთხვევაში შვილები ძალადობდნენ მშობლების მიმართ, ხოლო 27 შემთხვევაში შვილები იყვნენ მამების ძალადობის მსხვერპლი.

2018 წელს სომხეთში ძმების მხრიდან დების ცემის 13 ფაქტი დარეგისტრირდა, ამდენივე რძალი და სიძე იქნა ნაცემი მეუღლის მშობლების მიერ.

---

[67] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017, file:///C:/Users/l.nonikashvili/Downloads/National%20VAW%20Study%20Report%20Geo.pdf

[68] http://evaw-global-database.unwomen.org/en/countries/europe/united-kingdom-of-great-britain-and-northern-ireland?pageNumber=1

[69] http://evaw-global-database.unwomen.org/en/countries/asia/georgia#6

ცოლების მხრიდან ქმრების მიმართ ძალადობის 12 შემთხვევა დაფიქსირდა. დაფიქსირდა ორივე მშობლის მიერ შვილზე ძალადობის 9 შემთხვევა, 7 შემთხვევაში კი შვილიშვილები ძალადობდნენ ბებია-ბაბუაზე.

შესაბამის უწყებაში ხაზი გაესვა, რომ 267 ცემის შემთხვევაზე იყო საქმე აღძრული, 64 მკვლელობის მუქარა და 34 წინასწარ განზრახული დაზიანების მიყენება დაფიქსირდა. ასევე საქმე აღიძრა არასრულწლოვანთა მიმართ 17 სექსუალური ძალადობის ფაქტზე. [70]

რუსეთის ფედერაციაში ოჯახური ძალადობის სტატისტიკა 2017 წელს მკვეთრად შემცირდა, რასაც ობიექტური, საკანონმდებლო მიზეზები ჰქონდა. 2015 წლისთვის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 50000-ზე მეტი ოჯახური ძალადობის შემთხვევა დაფიქსირდა. აქედა 11 ათასი ინცინდენტი ეხებოდა არასრულწლოვნებს, ხოლო 3000 დაზარალებული მამაკაცი იყო. დარჩენილი 36000 ძალადობის მსხვერპლი ქალი იყო.

უნდა აღინიშნიოს, რომ რუსეთში ყოველწლიურად ქმრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ლეტალური შედეგით 12000 ქალი ხდება. საგანგაშოა არასრულწლოვანთა სიკვდილიანობაც ოჯახური ძალადობის შედეგად - 2000.[71]

2017 წლამდე ოჯახური ძალადობის სტატისტიკა რუსეთში სტაბილურად იზრდებოდა. შსს-ს მონაცემებით ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რიცხვი 2012 წელს 34 ათასს შეადგენდა, 2014 წელს- 42.8 ათასს, 2016 წელს კი - 65.5 ათასს.

2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით რუსეთში ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა 36 ათასამდე შემცირდა, რისი მიზეზიც საკანონმდებლო ცვლილებაა. რუსეთის სათათბირო ორგანომ ოჯახური ძალადობის ნაწილობრივი დეკირმინალიზაცია მოახდინა, რამაც გამოიწვია სტატისტიკური და არა რეალური მაჩვენებლების შემცირება. [72]

---

[70] В 2018 году в производстве Следственного комитета Армении находилось 519 уголовных, https://ru.armeniasputnik.am/society/20190206/17143867/poboi-i-ne-tolko-sk-armenii-predstavilo-statistiku-po-faktam-semejnogo-nasiliya.html https://ru.armeniasputnik.am/society/20190206/17143867/poboi-i-ne-tolko-sk-armenii-predstavilo-statistiku-po-faktam-semejnogo-nasiliya.html

[71] Статистика домашнего насилия в России https://zen.yandex.ru/media/bruklean/statistika-domashnego-nasiliia-v-rossii-5cbc2b761c8e87021bb8775e

[72] Россия: ситуация с домашним насилием усугубляется (Eurasianet, США), https://inosmi.ru/social/20181218/244264280.html

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში ნათლად ჩანს, რომ თანამედროვე სამყარო დიდ ყურადღებას უთმობს ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებლების შესწავლას.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება. ოჯახური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობაა. ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი კი ქალები არიან.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოზარდ გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმა რაოდენობრივად აღემატება ვაჟებზე ძალადობას. ბავშვთა მიმართ ძალადობას, ძირითადად, მშობლები და დედმამიშვილები ახორციელებენ.

ბოლო წლების ოჯახური ძალადობის სტატისტიკა საქართველოშიც მზარდია. ის, ფაქტობრივად, ორჯერ აღემატება ყველა წინა წლის მონაცემს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ძალადობის მსხვერპლი ძირითადად ქალები არიან, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა ბუნებრივ მოვლენად ითვლება და დამკვიდრებულია სტერეოტიპი, რომ „შვილი მტრად უნდა აღზარდო, რათა მოყვარედ გამოგადგეს". შესაბამისად, აღმზრდელობით ხერხად მშობლები ხშირად მიმართავენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

დიაგრამა 20




წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ საქსტატისა და სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის კომიტეტის მონაცემების საფუძველზე.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ 2017-2018 წლების საქართველოსა და სომხეთის მონაცემებს, დავინახავთ, რომ ოჯახური ძალადობის სტატისტიკით საქართველო თითქმის 15-ჯერ აღემატება სომხეთს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ სომხეთის საზოგადოება უფრო დახურულია ოჯახური ძალადობის თემის განხილვისას. ეროვნული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ამ ქვეყნებში ოჯახური ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიმართვიანობა დაბალია. ოფიციალური მონაცემებით კი, 2018 წელს წინა წელთან შედარებით სომხეთში ოჯახური ძალადობის ფაქტები 13% არის გაზრდილი, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი გაზრდილია 75%-ით.

დიაგრამა 21




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://inosmi.ru/social/20181218/244264280.html

თუ ერთმანეთს შევადარებთ 2014-2017 წლების რუსეთისა და საქართველოს და მონაცემებს, დავინახავთ, რომ ოჯახური ძალადობის სტატისტიკით, რუსეთი ლიდერობს, რაც ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ რუსეთი საქართველოზე დიდი ქვეყანაა. მოსახლეობის რაოდენობაც რამდენჯერმე აღემატება საქართველოსას. 3.18 დიაგრამის მიხედვით, რუსეთში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა 2016 წლამდე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება; 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით 31%-ით გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებელი, თუმცა, 2017

წელს 45%-ით შემცირდა რუსეთში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა. საქართველოში  ამავე წელს 38%-ით გაიზარდა მსხვერპლთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით. არსებული მონაცემების მიხედვით, რუსეთში 2014-2017 წლებში, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 6%-ით მცირდებოდა. რაც შეეხება საქართველოს, 2014-2017 წლებში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 70%-ით იზრდებოდა.

მიუხედავად რუსეთში განხორციელებლი საკანონმდებლო ცვლილებებისა, რამაც მონაცემთა შემცირება გამოიწვია, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ერთობ საგანგაშოა, ისევე როგორც საქართველოში. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკა საგანგაშოა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაძლოა, საქმე გვქონდეს არასრულ მონაცემებთან. შესაძლოა, ვავარაუდოთ, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიმართვიანობა ჯერაც არ არის საქართველოში შესაფერის დონეზე.

# დასკვნა

ოჯახური ძალადობა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და ამ დრომდე დაუძლეველი პრობლემაა. მისი მასშტაბები გლობალურია. ოჯხაური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი განურჩევლად სექსისა, რასისა, ასაკისა, რელიგიური აღმსარებლობისა, ეთნიკური თუ კულუტრული კუთვნილებისა. ამასთან ცივილიზებული სამყარო თანხმედება, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა მიუღებელია და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთნაირად ევალება, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს, ასევე, ინდივიდებს.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ხდება ფიზიკური, ფისქოლოგიური, სექსუალური თუ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ოჯახის წევრის მხრიდან. მსოფლიო ფემიციდისა და ჰომიციდის უამრავ შემთხვევას იცნობს.

ძალადობის ნებისმიერი ფორმა და სახე საგანგაშო და დასაგმობია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ოჯახურ ძალადობაზე, რომლის მსხვეპრლნიც ძირითადად, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები: ბავშვები, მოხუცები და ქალები არიან.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკის წარმოება ერთობ მნიშვნელოვანი პროცესია. აუცილებელია, სახელმწიფოს მუდმივად ეჭიროს ხელი ამ პრობლემის მაჯისცემაზე. კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ:

- ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტები სისტემატურად იზრდება; 2018 წელს საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების რაოდენობა 75%–ით არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით; 2017 წლის მონაცმები ასევე, 41%–ით აღემატება 2016 წლის მონაცემებს;
- ყოველწლიურად იზრდება ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების სასამართლოს მიერ განხილვის მაჩვენებელი;

- ოჯახში ძალადობის მხვერპლს უმეტესწილად ქალები წარმადგენენ, ამასთან, მსხვერპლის როლში ხშირ შემთხვევაში  გვხვდებიან ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოხუცები;
- მოძალადე მამაკაცებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი  ფიქსირდება 25–44 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ქალების შემთხვევაში კი 45 წელს ზემოთ შუალედში. მსხვერპლ მამაკაცებში ყველაზე დიდი წილი 45 წლის ზღვარს ზემოთ მყოფებზე მოდის, ხოლო მსხვერპლ ქალებში კი – 25–44 წლის ასაკობრივ ჯგუფში;
- ოჯახში ძალადობის სახეებიდან საქართველოში ჭარბობს ფსიქოლოგიური (77%) და ფიზიკური ძალადობა (19%);
- საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მეტი ოჯახში ძალადობის ფაქტი ფიქსირდება თბილისში , ყველაზე ცოტა – გურიაში.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით 2-14 წლის ბავშვთა 20 % საქართველოში ოჯახური ძალადობის მსხვერლია. მათ ფიზკურად სცემენ და ამას უმეტესად მამები აკეთებენ.
- 2016–2017 წლებში ოჯახური დანაშაულის ნიშნით 28 ქალი იყო მოკლული; 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ორჯერ შემცირდა ოჯახში ძალადობის შედეგად ქალის მკვლელობის მაჩვენებელი; მიუხედავად ამისა, გაზრდილია ოჯახური დანაშაულის ნიშნით ქალთა მკვლელობის მცდელობის მაჩვენებელი. ამასთან, 2018 წელს გამოვლენილი მკვლელობის მცდელობის შემთხვევებიდან, 10 ფაქტი ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის მცდელობას ეხება.
- საქართველოში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტების, მოძალადეებისა და მსხვერპლთა რაოდენობა გაცილებით მაღალია მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ მეზობელი ქვეყნების საზოგადოება უფრო დახურულია ოჯახური ძალადობის თემის განხილვისას. ეროვნული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ამ ქვეყნებში  ოჯახური ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიმართვიანობა დაბალია.

- საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, ქალების მიერ განცხადებული ძალადობის მაჩვენებლები საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე მთელს ევროპაში.

როგორც კვლევები გვიჩვენებს, საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებლები ყოველწლიურად იზრდება. ერთის მხრივ, ეს გამოწვეულია საზოგადოების მეტად ინფორმირებით აღნიშნული პროცესის შესახებ. ასევე, შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან აღრიცხვიანობის და მონაცმეთა სისტემატიზაციის გაუმჯობესებით. რაც მთავარია, იზრდება სამართალდამცავი და მსხვერპლთა იურიდიული დახმარების ცენტრებისადმი მიმართვიანობა ოჯახური ძალადობის შემთხვევებში.

აღსანიშნავია ის დადებითი ტენდენციები, რაც 2017 წლის ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგებმა გამოავლინა; 2009 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ:

- გენდერული დამოკიდებულებები ნაკლებად კონსერვატიულია;
- ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი ქალები და კაცები უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ;
- იკლო იმ ქალთა წილმა, რომლებიც მოძალადე ქმრებთან რჩებოდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ძალადობა ნორმალურია;
- გამოვლინდა იმ ქალთა პროცენტული რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებმაც პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობის შემთხვევების შესახებ პოლიციაში განაცხადეს.

აღნიშნული შედეგები იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში ცნობიერების ამაღლების, ქალთა გაძლიერებისა და უფლებების ხელშეწყობის კუთხით ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაწეულმა ძალისხმევამ დადებითი გავლენა იქონია.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკა აუცილებელია საერთაშორისო თუ სახელმწიფო დონეზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შესამუშავებლად. აღნიშნული პოლიტიკის შემუშავების შემდეგ აუცილებელია მის დანერგვასა და იმპლემენტაციაზე დაკვირვება, მონიტორინგი. აღნიშნული დაკვირვების საწარმოებლად აუცილებელია სოციალური სტატისტიკის წარმოება.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკის არსებობა ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების გამოფხიზლებისთვის და იმისთვის, რომ როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოება მიხვდეს, რომ ოჯახის შიგნით მიმდინარე ძალადობრივი პროცესები მხოლოდ იმ კონკრეტული ოჯახის პრობლემა არ არის.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ბავშვის მიმართ ძალადობა საჭიროებების კვლევა, საია, თბილისი, 2018, https://gyla.ge/files/banners/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf

2. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში , თბილისი, 2013. https://www.unicef.org/georgia/media/2066/file

3. ბრასეური ა., შიშისგან დაცული, ძალადობისგან დაცული, სტრასბურგი, 2015.http://assembly.coe.int/Communication/Campaign/DomesticViolence/HandbookParliamentarians_GE.pdf

4. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989, http://cdi.org.ge/uploads/pages/uflebata-konvencia-54.pdf

5. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, პეკინის დეკლარაცია , 1995. https://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20R.pdf

6. გელაშვილი ს. შონია ზ. ქინქლაძე რ., *სოციალური სტატისტიკა* , თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2013 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.pdf

7. ინფორმაციული თავისუფლების ინსტიტუტი , საქართველოში ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, 2018. https://idfi.ge/ge/domestic_violence_statistics_in_georgia

*8.* კისი, ჰ. სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, *http://dictionary.css.ge/content/statistics*

9. მაკალათია ი., საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა, თბილისი, *2014.* http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000775/Avt.M.I.%202014%29.pdf

10. მენაბდე ვ., „ოჯახური ძალადობა", ლიბერალი, თბილისი, 2014, http://liberali.ge/blogs/view/6060/ojakhuri-dzaladoba

11. ნატროშვილი დ., ალიაშვილი თ.,სტატისტიკა, სტუ გამომცემლობა, თბილისი, 2013. file:///C:/Users/usr1qws/Downloads/Agresti,%20Franklin-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf

12. საქართველოს პარლამენტი, ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველო, 2017. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665073?publication=0

13. საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, თბილისი, 2017. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-standartebis-asaxva-ojaxshi-zaladobis-saqmeebshi.pdf

14. საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, 2014. www.mfa.gov.ge

15. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი.http://www.ombudsman.ge/res/docs/2019033019563052300.pdf?fbclid=IwAR3kjy8xOdhAC4GE5ONj09CaxLfXbLP1zBcUDJdRiiBxUIFJ29WeUaq77Qg

16. სოლოგიური კვლევები გენდერის სფეროში, ქალთა განათლებისა და ინფორმირების საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2017. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.8&d=HASH3e75929bb955ff3951860e.20&gt=1

17. სტატისტიკა► ოჯახში ძალადობის მსხვერპლები და მოძალადეები, თბილისი, 2018. http://liberali.ge/articles/view/34630/salome.ge

18. ფემიციდი -დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, თბილისი, 2016. http://www.parliament.ge/uploads/other/75/75715.pdf

19. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა, თბილისი, 2010. https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/GBV%20DV%20Survey_Geo_0.pdf

20. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.file:///C:/Users/l.nonikashvili/Downloads/National%20VAW%20Study%20Report%20Geo.pdf

21. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2017. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678

*22.* ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის კვლევა, *თბილისი, 2014.* https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20GEO_Final.pdf

23. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია https://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf

24. Abesadze N, Paresashvili N, Kinkladze R, Violence against women: stereotyped or new challenge of society, Vilnius, 2019. https://www.researchgate.net/publication/333071316_Violence_against_women_stereotyped_or_new_challenge_of_society

25. Am J Public Health, Risk Factors for Femicide in Abusive Relationships: Results From a Multisite Case Control Study, 2003. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1447915/

26. Canadian Centre for Justice Statistics under the Federal Family Violence Initiative, Family violence in Canada: A statistical profile, 2017. https://www150.statcan.gc.ca/n1/pub/85-002-x/2018001/article/54978-eng.htm

27. Defining the Data Challenge for Family, Domestic and Sexual Violence, 2017, https://www.abs.gov.au/ausstats/abs@.nsf/Lookup/4529.0main+features192013

28. Domestic violence is widely accepted in most developing countries, new study reveals 2013 , University of Bristol, https://www.sciencedaily.com/releases/2018/10/181031141437.htm

29. Global and regional estimates of violence against women: World Health Organization, 2013. https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85239/9789241564625_eng.pdf;jsessionid=71CF1224A9DC540DA9F1E48FD55E84DF?sequence=1

30. Guidelines for Producing on Violence against Women, UN, 2014. https://unstats.un.org/unsd/gender/docs/Guidelines_Statistics_VAW.pdf

31. Human Development Report, UN, 2004. ,http://hdr.undp.org/sites/default/files/reports/265/hdr_2004_complete.pdf

32. MAGEEQ – Multiple Meanings of Gender Equality – A Critical Frame Analysis of Gender Policies in Europe QUING – Quality in Gender +Equality Policies www.quing.eu

33. National Statistics https://ncadv.org/statistics

34. T McCormick - Convicting Domestic Violence Abusers when the Victim Remains Silent 13 BYU Journal of Public Law 428 at p.431, 1998. https://www.abdn.ac.uk/law/documents/EvidentiaryBarrierstoConvictionin.pdf

35. Voilance against women, A brief overview of the United Nations and violence against women, UN Women, https://www.un.org/womenwatch/daw/vaw/v-overview.htm

36. Walby S., Myhill A., New Survey Methodologies In Reserching Violence Against Women, 2011. https://www.lancaster.ac.uk/fass/resources/sociology-online-papers/papers/WalbyBJCmethodology.pdf

37. В 2018 году в производстве Следственного комитета Армении находилось 519 уголовных дел. https://ru.armeniasputnik.am/society/20190206/17143867/poboi-i-ne-tolko-sk-armenii-predstavilo-statistiku-po-faktam-semejnogo-nasiliya.html https://ru.armeniasputnik.am/society/20190206/17143867/poboi-i-ne-tolko-sk-armenii-predstavilo-statistiku-po-faktam-semejnogo-nasiliya.html

38. Метод Дельфи – в чем заключается, достоинства и недостатки, как его эффективно использовать? http://kak-bog.ru/metod-delfi-v-chem-zaklyuchaetsya-dostoinstva-i-nedostatki-kak-ego-effektivno-ispolzovat

39. Россия: ситуация с домашним насилием усугубляется (Eurasianet, США), https://inosmi.ru/social/20181218/244264280.html

40. Статистика домашнего насилия в России (2019), https://zen.yandex.ru/media/bruklean/statistika-domashnego-nasiliia-v-rossii-5cbc2b761c8e87021bb8775e

41. www.geostat.ge

42. www.nplg.gov.ge

43. www.ons.gov.uk/

44. https://police.ge/

45. www.unwomen.org